619
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ოქტომბერი
№ 10 1975 წ.

# დროშა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავი.

თარახან არჩვაძის ფოტო

# თეთრი მდინარე

**სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ბიწაძე

თარხან არჩვაძის ფოტო



ნანა არაბული



ზაირა ალხანიშვილი

სურნელს აფრქვევს ოქროსფერი შემოდგომა. ამ დროს ჩვეულებრივზე ადრე იღვიძებს შირაქი. ყველგან ხალისიანი შრომა და ფუსფუსია. მეცხოველეობის ფერმებში მონოტონურად გუგუნებენ საწველი აპარატები. ბიდონებში თეთრ ჩანჩქერებად იღვრება რძე. სწრაფად ივსება და იცლება ჭურჭელი. სპეციალური რეზერვუარიდან ნაკადური ხაზით მიიკვლევს გზას ავტოცისტერნებისკენ, აქედან კი რძე დაუყოვნებლივ გადააქვთ ყველ-კარაქის ქარხანაში.

ფერმის მუშაკები, დაამთავრებენ თუ არა წველას, ძროხებს საკვებს ურიგებენ. თანაც საუზმის თადარიგს იჭერენ. ამ დროს ისინი ისვენებენ კიდეც, რადიოს უსმენენ, ქვეყნის ახალ ამბებს იგებენ...

ასე იყო იმ დღესაც. როცა ეთერში ნაცნობი ადამიანის გვარი და სახელი გაისმა, წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული დიდი წარმატებებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გასადიდებლად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის საქართველოს სსრ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავს ამხ. ზაირა მიხეილის ასულ ალხანიშვილს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“! — აცხადებდა დიქტორი.

ზაირას გამარჯვება კოლექტივის გამარჯვებაა. ნიშნად სიხარულისა, მწველავებმა ტაში შემოჰკრეს, მერე მეგობარს მისცვივდნენ, მოეხვივნენ, დაკოცნეს, წარმატება და მთავრობის მაღალი ჯილდო მიულოცეს, სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვეს.

შირაქი ზეიმობდა ახალი გმირის დაბადებას. მოზღვავებულ სიხარულს დიდი და პატარა იზიარებდა. ფერმაში სახელდახელო მიტინგიც გაიმართა, სადაც მოვიდნენ პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი გურამ ლოლაძე, რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, სოციალისტური შრომის გმირი თავმჯდომარეები ნიკო ყოჩიაშვილი, ნიკო მამაიაშვილი, არსენ კობაიძე, ვანო ფიროსმანიშვილი, გულთბილად გაიზიარეს სახელოვანი მწველავის შრომითი გამარჯვება.

ზაირას სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა, თვალებში სიხარულის ცრემლები ჩანდგომოდა. ომალოს მთებში იწყებოდა ფიქრთა სათავე და აქ, შირაქში, პოულობდა ბედნიერ აწმყოს. მის გონებაში კინოკადრებივით გაიელვებს განვლილი ცხოვრების მძიმე წლებმა.

* * *

...ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში მიხეილ ალხანიშვილის ოჯახს მეშვიდე შვილი გაუჩნდა... მთიელი თვალებცქრიალა გოგონა თავიდანვე მკვირცხლი, კეთილი და შრომისმოყვარე იყო. მშობლებს დაუზარებლად ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში: ჩეჩავდა მატყლს, ამზადებდა თუშურ ქუდებს, ქსოვდა ხალიჩას, უვლიდა პირუტყვს, აგროვებდა ტყეში სოკოსა და პანტას...

...ლამაზ გოგონას თვალი დაადგა ხარება გუმაშვილმა, მაგრამ თანხმობა ვერ მიიღო. ერთ დღეს სოფელში ხმა დაირხა — ზაირა გაუტაცნიათ და ჯოყოლოში წაუყვანიათო. ფეხზე დადგა მთელი სოფელი, მიაკვლიეს ხარება გუმაშვილს, მაგრამ ქალიშვილსაც შეჰყვარებოდა ეს მხარბეჭიანი ვაჟკაცი. სიძემ დაკლა ცხვარი, ხარ-ძროხა და უხვად გაუმასპინძლდა „სამტროდ“ მოსულ ომალოელებს.

...ცოლ-ქმარი ერთმანეთის პატივისცემაში ათენებდნენ და აღამებდნენ, გაუჩნდათ შვილები, მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. უბედურმა შემთხვევამ მოულოდნელად იმსხვერპლა ოჯახის მამა. ძაძებით შეიმოსა ზაირა, დაობლდნენ ხუთი წლის თენგიზი და ცხრა თვის ლევანი.

ახალგაზრდა ქვრივი წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ მთის მოუსავლიან სოფელში მაინც ვერას გახდა, აკლდათ სარჩო-საბადებელი, გაუჭირდათ ცხოვრება. ერთ დღეს სოფელში სტუმრად მოსულმა ნათესავმა ქალმა უთხრა:

— წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში არის ეკონომიურად მძლავრი კოლმეურნეობა, იქ მწველავები სჭირდებათ, ანაზღაურება დიდია, ხალხიც კარგია. წადი იქ სამუშაოდ, იმედია, არაფერს გაგიჭირვებენ.

ზაირას აღარ უყოყმანია, დაემშვიდობა ქმრის კერას და ჯაფარიძისკენ გასწია. მორცხვად შეაღო კოლმეურნეობის თავმჯდომარის კარი.

ნიკო ყოჩიაშვილმა ჩვეულებისამებრ გულთბილად მიიღო უცხო სტუმარი, ბავშვებს მიუალერსა, ყველაფერი გულდასმით რომ გამოკითხა, უთხრა:

— სამუშაო ბევრი გვაქვს, მხოლოდ მითხარი, რა უფრო გეხერხება?

— მთიელი ქალი ვარ, ბავშვობიდან პირუტყვი მიყვარს, გამიშვით მწველავად, ვეცდები არ შეგარცხვინოთ!

სოფლის თავკაცმა ზაირა შირაქში წაიყვანა. იქ კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებია, იქვე მეცხოველეთა კაპიტალური საცხოვრებელი სახლები. ზაირას ორი მოზრდილი ოთახი გამოუყვე-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 10 (466) ოქტომბერი, 1975 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1975

მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ო. დემეტრაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ს. დურმიშიძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლ. სულაბერიძე, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

კორექტორი ტ. თაბორიძე



სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



მწველავები: ნანა არაბული, შუშანა ჩოქური და ზაირა ალხანიშვილი.

შეშა მოუზიდეს, ღუმელი დაუდგეს, აუცილებელი საოჯახო ნივთებიც შეუძინეს, კოლმეურნეობის საწყობიდან სურსათ-სანოვაგე მისცეს, ავანსად ფულიც გამოუწერეს. ფერმის მუშაკებმა ზაირა დასავით მიიღეს. მოზქონდათ საჩუქრები, ბავშვებს სახელდახელოდ ტანსაცმელი შეუკერეს.

ამ დიდი ხიკეთის წილ ზაირას გულში უსაზღვრო მადლიერების გრძნობამ დაისადგურა. ასე მხოლოდ საბჭოთა ადამიანები იქცევიან. კაცი კაცისთვის მეგობარია, ძმაა.

მათ გულთბილობას ალალი შრომით უნდა ვუპასუხო, — მტკიცე სიტყვა მისცა საკუთარ თავს ზაირამ და ბოლომდე დარჩა მისი ერთგული, არასოდეს გაუტეხია იგი.

* * *

ზაირამ ათი ძროხა გაიპიროვნა. მათ სანიმუშოდ უვლიდა, ზუსტად ასრულებდა ზოოტექნიკოსის ყოველ მითითებას.

პირველ წელსვე ათი ძროხიდან ათი ხბო მიიღო, გეგმის გადამეტებით ასობით კილოგრამი რძე მოწველა. მალე მისი მამაცური შრომის ამბავი კოლმეურნეობის ფარგლებს გასცდა, მთელს რაიონში გავრცელდა.

მწველავი ქალი მას შემდეგ სისტემატურად იმაღლებდა ოსტატობას. მისი ხელები ისე გაიწაფნენ საქმეში, გეგონებოდათ, რაღაცა ჯადო ამოძრავებსო. ერთ დღეს ზაირა ფერმის გამგესთან მივიდა და სთხოვა:

— კარგი იქნება, თუ კიდევ ხუთ ძროხას დამიმატებთ!

იმავე დღეს მწველავთა ბრიგადირმა გურამ გოგილაშვილმა კიდევ ხუთი ძროხა დაუყენა საწველ მოედანზე. ზაირა სხვებთან ერთად იწყებდა წველას და ყველაზე ადრე ამთავრებდა. მას რომ ჰკითხოთ, ძნელია თუ არა მწველავის პროფესია, გიპასუხებთ:

— ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია, თუ გიყვარს შენი საქმე, თუ შრომა სიხარულს განიჭებს, თუ სისტემატურად იმაღლებ ცოდნას. და, რა თქმა უნდა, ძნელია, თუ გაკლია ყველა ეს თვისება.

ზაირა თავის პროფესიას შემოქმედებითად უდგება. გაბედულად ნერგავს ფერმაში სიახლეს: რაიონში პირველი გადავიდა მანქანურ წველაზე და მოსავლელად ერთი-ორად მეტი ძროხა გაიპიროვნა. ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა მოწველა ერთ ძროხაზე სამიათასი კილოგრამი რძე, გასულ წელს კი „ოთხიათასიანი" ზღუდე აიღო. წელს თითოეულ ძროხაზე ხუთი ათასი კილოგრამი რძისათვის იბრძვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მოძმე ესტონეთის ვილიანდის რაიონის ცნობილი მწველავი ლეიდა პეიპსი.

ზაირამ ცხრა თვეში ერთ ძროხაზე 3.800 კილოგრამი რძე მიიღო.

* * *

ზაირა მარტო პირადი წარმატებებით როდი კმაყოფილდება, სულ იმის ფიქრშია, სხვებსაც დაეხმაროს.

შუშანა ჩოქური ავად გახდა. ზაირამ ბრიგადის წევრები მოიხმო და მიმართა:

— გაჭირვებაში მყოფ მეგობარს დახმარება უნდა, მისი ძროხები გამოუცდელ მწველავს რომ ჩავუგდოთ ხელში, ვერ მოუვლის, წველადობა შემცირდება. ჩვენ მოვუაროთ, მიღებული რძე კი მის ანგარიშზე ჩავწეროთ!

თქვეს და შეასრულეს კიდეც. ნანა არაბული, გოგია ბოლაშვილი, სარდიონ ყოჩიაშვილი და თვით ზაირა ჯერ შუშანა ჩოქურის ძროხებს მოწველიდნენ, მერე კი საკუთარს.

ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის! — ფერმის კოლექტივის მტკიცე დევიზია, რომლითაც იგი შრომობს და იმარჯვებს.

ფერმაში ახალგაზრდა მწველავები მოვიდნენ, ზაირამ თავისი ძროხები, რომლებიც ყველაზე მეტს იწველიდნენ, მათ გადასცა. თვითონ საშუალო წველადობის ძროხები გაიპიროვნა და კარგი მოვლით ისინიც მაღალი წველადობის გახადა.

* * *

კომუნისტი, პარტიის აქტიური წევრი, თავდადებული მშრომელი ადამიანი, დედა — ასეთია ზაირა ალხანიშვილი. ასე დაგვიხასიათა იგი კოლმეურნეობის თავკაცმა ნიკო ყოჩიაშვილმა და პარტიული კომიტეტის მდივანმა შალვა ლეკაშვილმა.

მათვე დასძინეს, რომ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი არჩეულია პარტიის წითელწყაროს რაიკომის წევრად, სასოფლო საბჭოს დეპუტატად, კოლმეურნეობის გამგეობის წევრად, სოფლის ქალთა საბჭოს თავმჯდომარედ; ზაირა ყველა დავალებას პირნათლად ასრულებს.

კოლმეურნეობის ეკონომისტმა სევერიან გოგილაშვილმა კი ციფრების ენით მოგვითხრო:

— ოცი წელია ზაირა მერძეველობის ფერმაში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მან ერთი მილიონ ორასი ათასი კილოგრამი რძე მოწველა. აბა, წარმოიდგინეთ მის გადასაზიდად საჭიროა რკინიგზის ოც ვაგონზე მეტი. ამ რძისაგან მიღებულია 150 ათას კილოგრამამდე ყველი, 50 ათას კილოგრამამდე სურნელოვანი კარაქი. ეს არის არანაკლებ 360 ათასი მანეთი!

აი, რა სიმდიდრის შექმნა შეუძლია რიგით მშრომელ ადამიანს!

შრომა ბედნიერების წყაროა; შრომამ გახადა უბრალო გლეხის ქალი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი.

ბრიგადირი გურამ გოგინაშვილი.



გმირის ხუთქიმიან ვარსკვლავთან ერთად მის მკერდს ორი ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი და მრავალი მედალი ამშვენებს.

ზაირას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკისა და ოსტატი მწველავის საპატიო წოდებები. სიგელებს, დიპლომებს, ფასიან საჩუქრებს ხომ სათვალავი არ აქვს.

გამომუშავებაც მაღალი აქვს. ერთ წელიწადს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 809 კილოგრამი კარაქი მიიღო. ყოველწლიურად პრემიის სახით 1.500 მანეთამდე იღებს, თვიური საშუალო ხელფასი კი 800 მანეთს აჭარბებს.

კარგი შვილები გაზარდა ზაირამ. თენგიზმა უმაღლესი განათლება მიიღო, ჩინებული სპორტსმენია. იყო რესპუბლიკის ჩემპიონი სამბოში; პედაგოგობს მშობლიურ სოფელში.

ლევანმა პოლიტექნიკური ტექნიკუმი დაამთავრა და მხედრულ მოვალეობას იხდის სამშობლოს წინაშე. ამას წინათ სამხედრო ნაწილის მეთაურებისგან წერილი მოვიდა: ლევანი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანიაო. მადლობას უხდიან დედას კარგი შვილის აღზრდისათვის.

ორივენი დაქორწინდნენ; ზაირას ორი შვილიშვილი ჰყავს. ლაღობს ოჯახი.

* * *

ზაირა ალხანიშვილი ახალგაზრდობის ჭეშმარიტი დამრიგებელია. ბევრს დაეხმარა პროფესიის არჩევაში, განსაზღვრა მისი მომავალი.

ბარისახოელი ნანა არაბული ადრე დაობლდა. ხევსური გოგონა მამიდამ მაია არაბულმა ჯაფარიძეში ჩამოიყვანა.

აბა, ვინ გაუგებდა ობოლს გულისთქმას, თუ არა ზაირა?!

— მოგვეცი ეგ გოგო, შესანიშნავ მწველავს გავზრდი, — რამდენჯერმე სთხოვა მაიას ზაირამ. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა.

თხუთმეტი წლისაც არ იყო ნანა არაბული ფერმაში რომ მოიყვანეს სამუშაოდ. აქ გაიზარდა იგი, ჯერ მეხბორე იყო, მერე მწველავი გახდა. ჯაფარიძეში მას მეტსახელად „ფერმის შვილობილი" შეარქვეს.

ოცდაერთი წლის კომკავშირელი ქალიშვილი ახლა ტოლს არავის უდებს შრომაში; მათ შორის ზაირასაც. მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთს ეჯიბრებიან. ეს უბრალო შრომითი მეტოქეობა როდია — ურთიერთდახმარებაა. ნანა არაბულს ოცდახუთი შავ-ჭრელი ჯიშის ძროხა ჰყავს გაპიროვნებული. თითოეულზე ყოველწლიურად ოთხიათას კილოგრამზე მეტ რძეს წველის.

ქალიშვილმა დაიმსახურა ჯაფარიძელთა სიყვარული; იგი რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, კომკავშირის რაიკომის წევრიც არის. მომავალში მისი ბიოგრაფია მრავალი სახელოვანი საქმეებით გამდიდრდება.

ალხანიშვილები, არაბულები, ჩოქურები, ქისტაურები, ბოლაშვილები, ფიდუაშვილები, ყოჩიაშვილები... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სახელოვანი მწველავი შრომობს ჯაფარიძის კოლმეურნეობის სარძეო-სახაქონლო ფერმაში, რომლებმაც მდინარეებად აქციეს რძის თეთრი ნაკადულები.




ანზორ გოგოლაძის ფოტო.




ბორჯომის საერთო ხედი.

დღითი დღე იზრდება მოთხოვნილება საქვეყნოდ განთქმულ „ბორჯომზე". საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი" ყოველწლიურად ზრდის თავის პროდუქციას. „ბორჯომი" იგზავნება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, იგი რესპუბლიკის ექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი საგანია.

1890 წელს ჩამოასხეს 5800 ბოთლი „ბორჯომი", 1974 წელს 379 მილიონი ბოთლი, მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ამ მაჩვენებლმა 404 მილიონს უნდა მიაღწიოს, 1980 წლისათვის ნავარაუდევია 550 მილიონი, ხოლო 1990 წლისათვის 600 მილიონი ლიტრი „ბორჯომის" ჩამოსხმა.

საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი" 1973-1974 წლებში მოპოვებული მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშით.



ზეინკალი კ. ტალახაძე.

ბორჯომელმა ჩამომსხმელებმა მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში მოიპოვეს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროშა.

გაერთიანების კოლექტივში უფრთხილდებიან შრომით ტრადიციებს, თაობიდან თაობას გადაეცემა დაგროვილი გამოცდილება და შრომითი ჩვევები, მუშათა რიგებს ავსებენ გამრჯე, შრომისმოყვარე ახალგაზრდები და საამაყო მაჩვენებლებიც აქვთ. კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც სათავეში ახალგაზრდა კომუნისტი ლავრენტი ჩადუნელი უდგას, ყოველთვიურ დავალებას 110-112 პროცენტით ასრულებს.

საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი" სასახელო შრომითი გამარჯვებებით ეგებება სკკპ XXV ყრილობას.

მოწინავე ხარატი პ. ზელინსკი.



პროდუქციის გასინჯვა.





# უცნობი სახელი

ნარკვევი

კარლო კობერიძე

თარხან არჩვაძის ფოტო

ადამიანს, თუკი მართლა ფიქრობს ოჯახსა და სამშობლოზე, საზრუნავი არ დაელევა, საზრუნავი და სადარდელი. დარდი ხომ, საერთოდ, კეთილი გულის ანარეკლია. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ისეთ სადარდელს არ ვგულისხმობთ, თავისი მოულოდნელობითა და სიდიდით გამოუსწორებელ უბედურებას რომ უტოლდება. სადარდელიც არის და სადარდელიც!.. რატომ არ უნდა მოგხვდეს გულზე იმ დედის წუხილი, შვილის ავადმყოფობამ აფთიაქის გზას რომ გაუყენა? რატომ არ უნდა მივიტანოთ გულთან იმ კაცის ოხვრა-წუხილი, რომელსაც სეტყვამ ვენახი გაუნადგურა?..

ბევრია, ძალიან ბევრია დამაფიქრებელი, საწუხარი და სადარდელი. კაცს სადარდელი რომ დაელევა, კაცაც აღარ ეთქმის.

წლევანდელმა გვალვამ სადარდელი გაუჩინა ადამიანებს. ასეთი პაპანაქება წარმოდგენითაც ძნელი იყო, მაგრამ ჩამოენთო და ხეებს მწვანედ გაუხმო ფოთოლი.

გვალვის დაწყევლილი კვალი რაკი ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებსაც დაეტყო და ჩვენს ბარაქიან საკოლმეურნეო ბაზრებსაც, ქალაქმა სოფლისკენ დაიწყო ყურება...

გვალვასთან საყოველთაო ბრძოლა გაჩაღდა. მაგრამ ეს იყო მოსავლის ნაწილის გადარჩენის იმედი. ამბობენ, იმედი ბევრს ნიშნავსო; ეს მართლაც, ასეა; თუმცა იმედით გულის დამშვიდება, სასიკეთოდ შემობრუნების ლოდინს მაინც ნიშნავს.

უშირს კახეთის ზვრებს, სიმინდს, ბოსტნეულს, ხეხილს... მისაშველებლად დაიძრნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. არც თბილისელები დარჩენილან ვალში; ქალაქის დასუფთავების ტრესტის ავტოცისტერნები დედაქალაქის ქუჩების ნაცვლად სარწყავს, მწვანეს, ბუდეშურს, რქაწითელს რწყავენ.

დილით რიგია გაზეთის კიოსკთან — ხალხს აინტერესებს რამდენი ჰექტარი ვენახი გადარჩა, რამდენი სიმინდი, რამდენი ბოსტნეული...

ტელევიზორიც იქით გვახედებს, რადიოც.

იმედი იმედად აღარ რჩება.

მორწყულ ჰექტარს, ჰექტარი ემატება.

სინოპტიკოსებიც სანუგეშო სიტყვას ამბობენ.

და უცებ წვიმა მოვიდა.

თბილისში მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა.

უთენია მეზობელმა დამიკაკუნა კარზე, სამახარობლო მთხოვა: ბიძაშვილი ახლახან მელაპარაკა ტელეფონითო — თურმე კახეთშიც გაწვიმებულა, ისე ბარაქიანად, როგორც თბილისში წვიმდაო.

მეორე დღეს ქალაქს მეტი სალაპარაკო არა აქვს.

ადამიანები ხალისით გამოდიან შინიდან, ხალისიანად მიდიან სამსახურში.

ჰაერში მტვრის სუნი აღარ ტრიალებს.

ეს უკვე სველი მიწის სურნელია — კეთილი სურნელი. ავტობუსში, ტროლეიბუსში, მეტროში, ყველგან წუხანდელ წვიმაზეა ლაპარაკი.

მიდიხარ ქუჩაში და ფეხქვეშ აღარ შრიალებს მწვანედ გამხმარი ფოთოლი, ასე წუხილად რომ გვაწვა გულზე. სასიამოვნოდ შრიალებენ ხეები, წვიმა მაცოცხლებელ წვენად ჩაუდგა და მალეც დაიბრუნებს ხასხასა მწვანე ფერს...

სამუშაო დღის დაწყებას ათიოდე წუთი უკლია.

ელმავალმშენებელი ქარხნის ეზო სავსეა მუშებით, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს მიტინგი უნდა დაიწყოსო; ჯგუფ-ჯგუფად დგანან და საუბრობენ. სალაპარაკო კი ერთია — წვიმა, მაცოცხლებელი წვიმა. ამ მუშების უმეტესობა გუშინდელი გლეხები არიან, კარგად იციან მიწისა და საწვიმარი ღრუბლის ფასი. გვალვის სიდუხჭირე მეტ-ნაკლებად ყველას გამოუცდია.

გაწვიმდა, მამა-პაპურად გაწვიმდა და გვალვასაც ბოლო მოეღო.

კეთილმა ღიმილმა იმატა, რაკი იმედი იმედად აღარ დარჩა.

სამუშაო დღე დაიწყო და ქარხნის ეზოც დაცარიელდა.

ელმავალმშენებელი ქარხნის დირექტორის მოადგილეს გურგენ კერესელიძეს ჩვენი სტუმრობის მიზეზი რომ გავაცანით, შეწუხდა, — არ ვიცი რითი დაგეხმაროთო.

ჩვენ კი ნამდვილად გვჭირდებოდა მისი დახმარება.

— ლერი ვარდოსანიძე შვებულებაშია, ირაკლი გელაშვილი კი საავადმყოფოში, თავს შეუძლოდ გრძნობდა და ორი დღეა ექიმები ადგანან თავზე. მოგეხსენებათ, კაცი თუ ჯანმრთელი არ არის, საქმესაც ვერ მოსთხოვ!..

ხმა არ ამომიღია, ამით მივანიშნე, აქედან ხელცარიელი ვერ წავალ-მეთქი.

— სხვა მოწინავეებზე კი საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. ხომ ასეა? — ღიმილით მომჩერებია.

არც ახლა ამომიღია ხმა, რითაც დავამტკიცე, რომ ხშირად დუმილი თანხმობის ნიშანია.

ახლა, მართლაც, ბევრს ვწერთ ნაკლოვანებებზე, სიმართლეს გაბედულად ვამბობთ და გზას აღარ ვეძებთ გასაქცევად. მაგრამ ხშირად მთავარი გვავიწყდება ხოლმე: რაღაცას თუ ვიღაცას ამოვიჩემებთ და აღარ ვეშვებით. ეს ამოჩემება უფრო ადამიანებს ეხება. გახმაურებულ გვარებს ვუტრიალებთ ყოველთვის და, იმის ნაცვლად, რომ ხალხს შევაყვაროთ ესა თუ ის მოწინავე მუშა, თავს კი ვაბეზრებთ მათი ქებით. გამოდის, თითქოს მათ გარდა არავინ არის სამაგალითო, ღირსეული. თვითონ ის ცნობილი, მოწინავე ადამიანიც წუხდება, უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და ამიტომ დიდადაც არ სიამოვნებს ერთფეროვანი შეკითხვების მოსმენა, რაკი იმ ერთფეროვან შეკითხვებზე ერთფეროვანი პასუხი უნდა გასცეს.

გამოდის, რომ მკითხველსა თუ მსმენელს გულგრილობას ვაჩვევთ, ვინაიდან მოსმენისა თუ წაკითხვის სურვილი დაეკარგა, უფრო სწორად, ჩვენ დავუკარგეთ.

— მაინცდამაინც საქვეყნოდ ცნობილი მუშა უნდა იყოს? — შეკითხება გურგენ კერესელიძე.

— თუ ხალხმა არ გაიცნო, სულ უცნობად დარჩება!

— მართალია. ჩვენს ქარხანაში მოწინავეებს რა გამოლევს?!

... ვეება, ხმაურიან საამქროში შევდივართ, მაგრამ ეს ხმაური მომაბეზრებლად არ მოქმედებს შენზე. უხმაურო ქარხანა სად გაგონილა?! ალბათ, არის რაღაც შინაგანი გრძნობა, რითაც ადრევე ხარ შემზადებული, ასეთი ხმაურის გარიდებას რომ არ ჩქარობ.

ჩემისთანა კაცისთვის, ვინც მხოლოდ თვალის გადავლებისათვის შემოვიდა ქარხანაში, საამქროში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გამოუცნობი, ამოუხსნელი და უჩვეულოა: ეს დეტალები, ეს ნაწილები, ყველაფერი, ყველაფერი, რასაც აქ აკეთებენ, რასაც ხედავ; მაგრამ თავი მცოდნესავით მოგაქვს, რაკი იცი, ეს დეტალები, ეს ნაწილები მცოდნე ხალხის ხელშია, მცოდნეთა ფიქრიდან, ოსტატობიდან გამოდის.

გურგენ კერესელიძე საათს ხშირად დასცქერის — სამუშაო კვირა დაიწყო და, ალბათ, სავალდებულო თათბირის დრო ახლოვდება; ეჩქარება, მალე უნდა მოძებნოს ის კაცი, ვისი სახელის გახმაურებაც ნამდვილად ღირს, ვინც თავისი შრომა-გარჯით, პატიოსნებით, კაიკაცობით იმსახურებს გვერდში ამოუდგეს პაპინაშვილს, ჩადუნელს, ვარდოსანიძეს, გელაშვილს — ამ ქარხნის მოწინავე მუშებს; მაგრამ ერთი ანდაზისა არ იყოს, მოჩქარეს მოუგვიანდესო, მას მუშები, ინჟინრები აჩერებენ, ვინ რას სთხოვს, ვინ რა დეტალს უჩვენებს.

დრო კი არ იცდის.

ბოლოს, როგორც იქნა, მივაგნო, ვისაც ეძებდა.

— ანზორ გაბრიელის-ძე გორგაძე! — ეღიმება გურგენ კერესელიძეს, — საუკეთესო მუშაკაცი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი. მართალია, ჯერ ჩვენი საზოგადოებრიობა არ იცნობს როგორც მოწინავეს, შრომისმოყვარეს, ერთგულსა და ბეჯითს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გაიცნობს!

— გავაცნობთ!

— ანზორი იმსახურებს იმას, მასზეც რომ წერდნენ.

ანზორ გორგაძემ ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემში დაამთავრა რვა კლასი. მერე, როგორც მისი ტოლების ერთმა ნაწილმა, ანზორმაც თბილისს მოაშურა. დაამთავრა რკინიგზის ორწლიანი სასწავლებელი ელმავალშემკეთებელი ზეინკლის სპეციალობით და მაშინვე შრომით საქმიანობას შეუდგა.

რა თქმა უნდა, ძნელია სკოლის მერხიდან პირდაპირ ქარხანაში მისვლა, ძნელია იმიტომ, რომ არა გაქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ სანუგეშოა ერთი რამ: სხვა მუშებმაც ხომ ასე დაიწყეს თავიანთი ცხოვრების გზა.

ანზორი მუშაობდა, თან სწავლობდა ქარხანასთან არსებულ მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში.

სკოლა დაამთავრა და უფრო გაორკეცებით შეუდგა შრომით საქმიანობას.

სამწუხაროდ დღესაც მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, თითქოს სწავლა ისეთი საძნელო არ არის, როგორც ვთქვათ თოხზე მუშაობა, ხელოსნის შალაშინი ან ზეინკლის მარწუხი.

ანზორ გორგაძე კი ასე არ ფიქრობს:

— ის დრო, სკოლას რომ მიჰქონდა და წიგნის ფურცლებს, რა თქმა უნდა, დაკარგული არ არის... სკოლა რომ დავამთავრე, მერე თითქოს ჯანიც მომემატა და ხალისიც.

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროში ყველა ერთმანეთს იცნობს. ხალხი ბევრია, მაგრამ ყოველდღიური საქმიანობა, ურთიერთობა აახლოებს ერთმანეთს. კეთილი მეზობლებისა არ იყოს, ურთმანეთოდ არც საქმის კეთილად დაბოლოება შეიძლება, არც გაძლება.

ქარხანაში ახალი ვინმე რომ გამოჩნდება, ყველა მას უცქერის, ყველას უნდა გაიგოს, სადაურია, რა ცოდნა აქვს, რას როგორ აკეთებს... გასაგები, მართლაც, ბევრია; ეს უბრალოდ, თუ ენის მოსაფხანი ცნობისმოყვარეობა არ არის, ქარხნის საკეთილდღეოდ აღძრული ფიქრია. ხომ შეიძლება ერთის უცოდინარობამ და უმაქნისობამ სხვასაც დაუკარგოს მუშაობის ხალისი.

მერე და მერე იგებენ ეს ახალი მუშა რისი გამკეთებელია, რისთვის მოვიდა; ან უხარიათ ან დაღონდებიან ხოლმე, რაკი ისეთი ადამიანებიც არიან, ვისაც უფრო პირადი საქმე აინტერესებს, ვიდრე საზოგადოების კეთილდღეობა.

ანზორს სამი შვილი ჰყავს. მეუღლეც მუშაობს.

საამწყობო საამქროში, ბუნებრივია, სხვებიც არიან მოწინავენი. ამხელა საამქროში კარგ მუშას რა გამოლევს, მაგრამ ანზორ გორგაძის ბრიგადა მოწინავეთა შორის მოწინავეა.

ბრიგადას რომ ვახსენებთ, გვინდა თუ არ გვინდა, ბევრი ხალხი წარმოგვიდგება-ხოლმე. ახლაც ასე მეგონა და, მართალი გითხრათ, გავოცდი — ანზორის ბრიგადაში სულ ხუთი კაცია:

ანზორ გორგაძე — ბრიგადირი,

ანზორ ნიქაბაძე,

ალექსანდრე გიორგიშვილი,

ავთანდილ ასანიძე

და გურამ ლულუნიშვილი.

ანზორ გორგაძის ბრიგადა 90 დასახელების სხვადასხვა დეტალს ამზადებს. ამ ოთხმოცდაათი დასახელების დეტალში მთავარი და მეორეხარისხოვანი არ არსებობს — ყველა მთავარია.

შრომობს ბრიგადა, დაკვირვებულად, ბეჯითად შრომობს და საქმეც წინ მიდის — ყოველთვიური დავალება 150-160 პროცენტით სრულდება.

არაფერია იმაზე კარგი, როცა ხედავ, შრომა გიფასდება.

ანზორსაც დაუფასდა შრომა — მას ყველა პატივს სცემს, ქებით იხსენიებენ. ჯილდოც მალე იქნება.

ქარხანას თავისი საბაღე მეურნეობა აქვს. ამ მეურნეობაში პატარა ნაკვეთი ანზორ გორგაძესაც გამოუყვეს. ნაკვეთში ხეხილი ჩაყარა. დასვენების დღეებში იმ ხეხილს ეფერება, უვლის.

ოჯახიც ყურადღებას მოითხოვს. ისე რომ, დრო განაწილებულ-გამოზომილი აქვს.

ანზორი შვებულებას თავის სოფელ ილემში ატარებს, იქ მოხუცი დედა ჰყავს, ვენახი აქვს, სახლ-კარი; იმათაც მიხედვა უნდა.

მშრომელ კაცს საქმე არასოდეს გამოელევა.

— ქარხანაში ყველაფერი რიგზეა. გაჭირვებით არაფერი გვიჭირს. ადრე კი იყო რაღაც გაუგებრობა, წაყრუება, დაბნევა თუ უთავბოლობა... რომ იცოდეთ, რა ძნელია, როცა მუშაობა გინდა და უმახალიაბა ამის საშუალებას არ გაძლევს... ახლა ყველაფერი რიგზეა. აი, სიხარულზე მკითხეთ, შენს ცხოვრებაში ყველაზე უფრო რა გაგიხარდაო, გეტყვით: პირველი შვილის დაბადება, მომდევნოებისაც და, არ გაგიკვირდეთ, სამოთახიანი ბინა რომ მივიღე... სულ სხვაა შენი ჭერი, შენი ეზო-ყურე, შენი ოჯახი და შენი ქარხანა. დააკვირდით, როგორ ვამბობთ-ხოლმე — ჩემი სოფელი, ჩემი ქალაქი, ჩემი ქარხანა... ჩემი და ჩემი! თუ ამისი შეგრძნება არ გაქვს, ისე არაფერი გამოვა...

ძნელია, არ დაეთანხმო.



პირველ რიგში მარცხნიდან — ვიეტნამელი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის ელჩის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მ. კაკაბაძე, ხო ში მინი, ს. ჯაიანი, ნ. მეიფარიანი, ი. ბალიაური; მეორე რიგში — ვიეტნამელი მწვრთნელი, მ. ბოგუსი, ნ. მაკალათია, ი. კოვალიოვი, ნ. ბახუტაშვილი, ვიეტნამელი მწვრთნელები; მესამე რიგში — ნ. ფალავანდიშვილი, რ. მიქაძე, საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი.

მიხეილ კაკაბაძე

# ერთი სურათის ისტორია



ეს სურათი ხო ში მინს თარხან არჩვაძემ გადაუღო თბილისში, მთაწმინდაზე 1959 წლის ზაფხულში.

1964 წლის აგვისტოს დამლევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა საქართველოს ტანმოვარჯიშე ვაჟთა დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა

საქართველოს ნაკრებ გუნდს მასპინძლებთან სამი სამატჩო შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი ჰანოიში, ჰაიფონგსა და ნამ-დინში, მაგრამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ჩასვლის მეორე დღეს, 31 აგვისტოს, ფიზკულტურის ტექნიკუმის დარბაზში გამართული ერთობლივი საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ გეგმა შეიცვალა: ადგილობრივმა ტანმოვარჯიშეებმა შეჯიბრებებზე უარი თქვეს და გადაწყდა ორივე გუნდს საჩვენებელი გამოსვლა მოეწყო, ისიც მხოლოდ ნამ-დინში.

ჩვენი მასპინძლები იმხანად ეუფლებოდნენ ტანვარჯიშის — სპორტის ამ უაღრესად შრომატევადი სახეობის რთულ და მრავალფეროვან საიდუმლოებებს და, კაცმა რომ თქვას, მათი გადაწყვეტილება სწორი იყო — არ უნდოდათ ასპარეზობის არითმეტიკით მკაფიოდ და აშკარად გამოვლენილიყო მათი ახალბედობა.

ჩვენი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ჩვენს ბიჭებთან ერთობლივმა მეცადინეობებმა, აგრეთვე ადგილობრივ სპეციალისტებთან მეთოდურმა საუბრებმა, როგორც არაერთხელ თავად აღნიშნეს, ვიეტნამელ ტანმოვარჯიშეებს და მათს დამრიგებლებს დიდი სარგებლობა მოუტანა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მასპინძელთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა ნოდარ ბახუტაშვილს რამდენიმე წლით ვიეტნამში მუშაობა შესთავაზა...

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებული თორმეტი დღე დაუვიწყარია.

ამ ყვავილებისა და კოჰწია ქალაქების, აურაცხელი ველოსიპედისა და სათუთად მოვლილი ბრინჯის პლანტაციების ქვეყანაში ცხოვრობს და ილვწის გულღია, მხიარული, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მშრომელი ხალხი, რომელმაც ჩვენს დელეგაციას ძმური სიყვარულით და გულწრფელი აღფრთოვანებით გაუწყია მასპინძლობა. ამ სითბოს ჩვენ ვგრძნობდით ყველგან — მშვენიერ დედაქალაქ ჰანოიშიც, სამრეწველო ჰაიფონგშიც (ჩვენი იქ ყოფნის დროს ამ ქალაქის თავზე უკვე დაფრინავდნენ ამერიკული თვითმფრინავები), ნამ-დინშიც (ადგილობრივ სტადიონზე გამართული ერთობლივი საჩვენებელი გამოსვლის სანახავად პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად მოვიდა ფამ ვან დონგიც, რომელიც გულითადად მოგვესალმა).

და აი, 7 სექტემბერს საღამოს გვითხრეს, ხვალ დილით ადრე ხო ში მინი გთხოვთ თავის რეზიდენციაშიო.

...პრეზიდენტის სასახლის პარკს დილის 6 საათი არ იყო, რომ მივადექით. ჰიშკარი გაიღო და წალკოტში აღმოვჩნდით, რომელსაც ფარშავანგები და შადრევნები ამშვენებდნენ. თეთრმისოდენა ყვავილების, ცადაზიდული ევკალიპტებისა და მხრებგაშლილი ჰადრების სამეფოში წამოჭიმული დიდებული სასახლის ახლოს, ჩრდილში პატარა,



ოროთახიანი ფიცრული დგას — მიგ უბრალო ხის ტახტი დგას, რომელზეც ჰილოფი აფარია; ეს ხო ში მინის საცხოვრებელი სახლია.

სამუშაო ოთახიც ერთობ უპრეტენზიოდ არის მოწყობილი: საწერი მაგიდა, სკამი, წიგნის კარადა.

...სასახლის ერთ-ერთ დარბაზში გრძელი მაგიდა იყო გაშლილი. კიბეებზე ხო ში მინი შემოგვეგება და მაგიდასთან მიგვიწვია. თავად სუფრის თავში დაჯდა — მე ვიქნები თამადა, თქვენში, საქართველოში, როგორც იციანო (რუსულად საკმაოდ გასაგებად ლაპარაკობდა; იგი პირველად 1924 წელს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი ბევრჯერ ყოფილა).

— ჩვენს დღესასწაულს თუ დაესწრებით? — გვეკითხება იგი.

— დიახ, — ვუპასუხე პრეზიდენტს.

ორ სექტემბერს დილის ექვს საათზე ვიყავით ჰანოის ცენტრალურ მოედანზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მე-19 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა. გავუზიარეთ ჩვენი შთაბეჭდილებანი, რაც ყოველ ჩვენგანზე ამ ქვეყანამ და მისმა ხალხმა მოახდინა.

— გამოდის, რომ მოგწონებიათ აქაურობა! — კმაყოფილი ღიმილით თქვა ხო ში მინმა, თან დრო-დადრო გვთხოვდა გაგვესინჯა საჭმელ-სასმელი, ჩაი, რომელსაც ვიეტნამში ყოველი შეხვედრისას გვთავაზობდნენ.

პრეზიდენტმა მოგვითხრო იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შესახებ, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში იყო გაჩაღებული, გვიამბო ვიეტნამელი ხალხის გმირობაზე ფრონტსა თუ ზურგში.

— წარმატებები ბრძოლის ველზე ზურგში იჭედება! — თქვა პრეზიდენტმა.

მერე საქართველოზე გვთხოვა მოგვეთხრო რაიმე.

საუბარი ფიზკულტურასა და სპორტს შეეხო. პრეზიდენტი ერთობ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საკითხს და თქვა, საბჭოთა კავშირში საუცხოოდ არის დაყენებული მშრომელთა გაჯანსაღების საქმე და დიდი სპორტიო. საჭიროა თქვენი სპორტული სპეციალისტების მოწვევა, როგორც ამას სხვა სფეროში ვაკეთებთო. მერე თანამემამულე ტანმოვარჯიშეთა ოსტატობის დონით დაინტერესდა და ჩვენს მწვრთნელებს ჯაიანს, მეიფარიანსა და ბახუტაშვილს ჰკითხა აზრი.

მხიარული განწყობილება სუფევდა, თუმცა ტონუსის ასამაღლებელი მაგარი სასმელებიდან მაგიდაზე მხოლოდ ჩაი იყო.

...გამომშვიდობებისას ხო ში მინმა სურათის გადაღება შემოგვთავაზა. ცხადია, ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით.

გთავაზობთ ამ სურათს.

# გმირული სული

იგი არც სამოქალაქო და არც სამამულო ომის მონაწილეა. მის მკერდს არ ამშვენებს საბრძოლო დიდების ორდენები და მედლები. გმირთა ამბები მას წიგნებში წაუკითხავს და კინოეკრანზე უნახავს. ვაჟკაცობისა და თავგანწირვის სურვილი ამ ჭაბუკის სულსა და გულში პატარაობიდანვე ღვივდებოდა.

იგი საშუალო ტანისაა, გამხდარი, კუნთებდაძარღვული, მოკრძალებული, სასიამოვნოდ მოსაუბრე.

ერთხელ, პატარაობისას, შემთხვევით იპოვნა ჩანთით ფული და ვერ მოისვენა, სანამ პატრონს არ დაუბრუნა. შემთხვევითო, ვამბობთ, ხომ შეიძლებოდა სხვას ეპოვნა, სხვაც ასევე მოქცეულიყო... მაგრამ ზოგჯერ შემთხვევითობაც ავლენს ადამიანის ბუნებას, მის კეთილშობილებას. პირველად ასე გამომჟღავნდა მისი კეთილი ბუნება.

ცაგერში მურმან გუგავას სახელს ყველა პატივისცემით წარმოთქვამს, რადგან მისი სახელი რამდენიმე მამაცური საქმის მარავანდედით არის მოსილი.

საველდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ცაგერის ღვინის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. უბრალო მუშამ ტექნოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და იმავე ქარხანაში დაწინაურდა ინჟინერ-ტექნოლოგად. ქარხანას ვამბობთ, თორემ რა ქარხანა იყო?! ხის ძველი ავარიული ნაგებობა. საჭირო იყო ახალი, კაპიტალური ქარხნის აშენება. გამოცდილ სპეციალისტ გივი ბურჯალიანთან ერთად მურმანი სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს, თავისი ხელით აწყობდა აგურზე აგურს. სულ რაღაც სამ თვეში წამოიმართა ქარხნის კორპუსი.

მურმან გუგავამ მაშინ პირველი საჩუქარი — სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის მედალი მიიღო.

გამარჯვების სიხარული განელებული არც კი იყო, ცაგერს საშინელმა გრიგალმა რომ გადაუქროლა. ძლიერმა ქარმა დაანგრია მთელი რიგი შენობები, დაწყვიტა კავშირგაბმულობისა და ელექტროსადინარები. მრავალ ადგილას იფეთქა ხანძარმა. მოსახლეობა სტიქიას შეება. დაბა ცაგერი ხანძარს გაენათებინა. ცეცხლი მოსდებოდა რაიკავშირის სამეურნეო საქონლის მაღაზიას, სადაც აცეტონით სავსე კასრები ინახებოდა. წუთი წუთზე და ცეცხლი კასრებს მისწვდებოდა. ხალხის მთელი ყურადღება იქით იყო მიპყრობილი — როგორმე უნდა აეცილებინათ მოსალოდნელი უბედურება. აი, აქ იმარჯვეს მურმან გუგავამ, რომან კალანდაძემ, ავთანდილ გუგავამ და სოსო ფანჯავიძემ. ისინი ცეცხლში გადაეშვნენ და დაიწყეს აცეტონით სავსე კასრების გამოტანა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო აფეთქება, მაგრამ გაბედულმა ვაჟკაცებმა საკუთარი სიცოცხლის რისკით გადაარჩინეს ცაგერი.

ხანძარი პროკურატურის შენობას მოედო. მურმანი ახლა იქ გაჩნდა, ავარდა მესამე სართულზე, სადაც პროკურატურის საქმეები ინახებოდა, შეფუთულ საქმეებს და დოკუმენტებს გამალებით ყრიდა დაბლა. ხანძარი ძლიერდებოდა, უკიჟინებდნენ, მიატოვე ყველაფერიო. მეორე სართულზე მას ალი სახეში ეცა და წააქცია. სიმონ კალანდაძემ, დავით კოპალიანმა და სოსო ფანჯავიძემ იხსნეს იგი. მურმანმა სახის დამწვრობა მიიღო, მაგრამ ცეცხლთან ბრძოლა მაინც არ შეუწყვეტია.

სტიქია დაძლეულ იქნა.

ამ ვაჟკაცთა სახელებს მოწიწებით რომ წარმოთქვამენ, აი, ყველაზე დიდი ჯილდო — ხალხის მადლობა!

მურმან გუგავა გულითადი ვაჟკაცია... როგორც კი გაიგო მეზობელს ნოდარ უგრეხელიძეს გასაჭირი დასდგომიაო, მაშინვე მხარში ამოუდგა და რუსეთში გაჰყვა, სადაც ნოდარის ძმისშვილი ერთ-ერთ საავადმყოფოში უკურნებელ სენს ებრძოდა.

...თვითმფრინავმა უკანასკნელი წრე მოხაზა და დასაფრენი ბილიკისკენ დაეშვა. მგზავრებმა შვებით ამოისუნთქეს, ზოგი ხელბარგსაც კი მისწვდა. მაგრამ უეცრად საზარელი რამ მოხდა. თვითმფრინავმა უცებ იცვალა მიმართულება და ცხვირით მიწაში ჩაერჭო. საშინელმა დაჯახებამ თვითმფრინავი წელში გადატეხა, ავზებიდან გადმოღვრილი საწვავი გავარვარებულ ძრავებს გადაესხა და ხანძარმა იფეთქა. სამაგრებიდან მოწყვეტილი სავარძლები მგზავრებიანად ერთად იყო მიხერგილი. დაფეთებული ხალხი ერთმანეთზე გადადიოდა.

ასეთ ვითარებაში გამოჩნდა ვაჟკაცი, რომელიც სწრაფად მოევლო გონს და უმალ კარს ეძგერა; მაგრამ დეფორმირებული კარის გაღება არც ისე ადვილი იყო. ამჯერად კი ყველა ძალაზე უმძლავრესი აღმოჩნდა ვაჟკაცის მკლავის ძალა — კარი გაიღო. კვამლით გავსებულ სალონში მაცოცხლებელი ჰაერი შემოიჭრა.

— გვიშველეთ! გვიშველეთ! — ყვიროდნენ განწირული მგზავრები.

მურმანმა ძალა მოიკრიბა და ხალხისკენ შეტრიალდა, სათითაოდ მიჰყავდა ისინი კარამდე... ყოველ წამს მოსალოდნელი იყო თვითმფრინავის აფეთქება, მაგრამ ამ ამბავს აინუნშიც არ აგდებდა მურმანი. ბოლოს თვითონაც გადმოხტა თოვლიან მიწაზე. ტრამვირებულ და თვითმფრინავიდან გადმოყრილ ხალხს კიდევ უნდოდა შველა. მურმანმა დაინახა თვითმფრინავთან ახლო ფეხმოტეხილი ახალგაზრდა, რომელსაც ტანსაცმელზე ცეცხლი მოსდებოდა და ადგილიდან ვერ იძვროდა. განწირული ჭაბუკი საშველად იწვდიდა ხელებს. მურმანი მასთან მიიჭრა, ცეცხლი ჩააქრო, მხარზე მოიკიდა და სწრაფად გაეშურა სასწრაფო დახმარების მანქანისაკენ, რომელიც ავარიის ადგილზე გაჩენილიყო.

შემდეგ ქალს მიეშველა, მერე მოხუცი ქალი და კაცი გაიყვანა სამშვიდობოზე და ძალამილეულმა ძლივს მიაგნო თავის მეზობელს, რომელიც იღბლად გადარჩენილიყო, მას ტანსაცმელი დასწვოდა და მკერდს იტკივებდა...

მადლი უქრობი სანთელია. ამიტომ იყო, გადარჩენილი მგზავრები შემდეგ გულითადი მადლობის სათქმელად ასე მონდომებით რომ ეძებდნენ ცაგერელ ვაჟკაცს; ეძებდნენ და მიაგნეს კიდეც.

აუარება წერილი მოსდის მურმანს. აუარება მეგობარი და მისი ვაჟკაცობის დამფასებელი ჰყავს.

„არც ისეთი გოლიათური აღნაგობა გაქვს და ასეთი გული რამ მოგცაო?!" — წერს ერთ-ერთი მათგანი.

დიახ, გმირული სული ზოგჯერ პატარა კაცშიც ეტევა, თუ მას სხვისი ჭირი თავის ჭირად მიაჩნია და სხვისი ლხინი თავისად!



ილია ტატიშვილი

# მასპინძლობის დიდი ხელოვანი

ლარისა ხუბულური



ნინო და ლადო გუდიაშვილები.

თბილისი. კეცხოველის ქ. № 11. აქ ცხოვრობს ჩვენი დროის გამოჩენილი მხატვარი ლადო გუდიაშვილი. აქ, როგორც ტაძარში, მოკრძალებით შედიან ქართველები და რუსები, გერმანელები და ფრანგები, იტალიელები, იაპონელები და ვინ მოთვლის კიდევ რომელი ქვეყნის წარმომადგენელი არ მოხიბლულა ლადო გუდიაშვილის ხელოვნებით, მისი მეუღლის, ხელოვნებათმცოდნე ნინო გუდიაშვილის სტუმართმოყვარეობით.

შედიხართ მაღალჭერიან დიდ დარბაზში და გული გინათდებათ. მომღიმარი სახის ჭაღარა მასპინძლის მისალმებას ძლივს მოასწრებთ, რომ თვალი უნებლიეთ კედლებისკენ გაგირბით. იქიდან გუდიაშვილის სურათები შემოგყურებენ ფერთა გამით აელვარებული, ზღაპრული სიუჟეტების მაუწყებელი.

დღე ერთია და სტუმარი ათასი. ყველას, შინაურსა თუ შორეული ქვეყნიდან ჩამოსულს გუდიაშვილის ხელოვნების ნახვა სწადია, ახლა იმასაკ თუ დავუმატებთ, რომ მხატვრის ოჯახი სტუმართმოყვარეობით არის ცნობილი, რაც დიდ დატვირთვას უქმნის დიასახლისს, ქალბატონ ნინოს, დიდად განათლებულ და მშვენიერ მოსაუბრეს.

ამ ზაფხულს მისი უდიდებულესობა დანიის დედოფალი მარგრეტე მეორე და მისი სამეფო უმაღლესობა პრინცი ჰენრიკი ესტუმრნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს. დედოფალსა და მის მეუღლეს პრინც ჰენრიკს დიდძალი თანმხლები პირი მოჰყვა, როგორც დანიელები, ისევე საბჭოთა წარმომადგენლები, ისე, რომ მთელი დარბაზი ხალხით გაივსო. მასპინძელმა დანიის დედოფალსა და მის მეუღლეს პასტელით შესრულებული სურათები უძღვნა.

სტუმრებმა დიდი სურვილი გამოთქვეს, რომ დანიაში მოეწყოს ლ. გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა.

— უნდა მოგახსენოთ, — გვიამბობს მხატვარი, — რომ წელს მე და ნინო ოფიციალურად მიწვეული ვართ შვეციაში, ჩემი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე. უკვე დავამთავრეთ გასაგზავნი სურათების აღწერა. სულ ასი სურათი მოითხოვეს — 50 ფერწერული, ამდენივე გრაფიკული ნამუშევარი. კარგა ხანია საზღვარგარეთ არ მოწყობილა ჩემი პერსონალური გამოფენა. ადრე, 20-იან წლებში, როცა პარიზში ვცხოვრობდი, ჩემი პერსონალური გამოფენა იქ არაერთხელ გაიმართა. მონაწილეობას ვიღებდი სხვა ქვეყნებში მოწყობილ გამოფენებზე, კერძოდ, ნიუ-იორკში, მაგრამ ჩემი ნამუშევრების ასე ფართოდ გატანა კაპიტალისტურ ქვეყანაში პირველი იქნება.

— ბატონო ლადო, რას გვეტყვით თქვენს სტუმრებზე, რამდენად საინტერესოა თქვენთვის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან შეხვედრა?

— ჩემი სახელოსნო სტუმრების, დამთვალიერებლების გარეშე ვერც კი წარმომიდგენია. რასაკვირველია, მაინტერესებს როგორ აღიქვამენ ჩემს ნამუშევრებს სხვადასხვა ერის, სპეციალობისა თუ ასაკის ადამიანები, რა აზრისა არიან ისინი ჩემს შემოქმედებაზე. ამავე დროს როცა სტუმართა შორის არიან მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, მათთან შეხვედრა ნამდვილად მახარებს. საუბრიდან ვიგებ დღეს ამა თუ იმ ქვეყანაში რა მიმართულებაა მხატვრობაში, რა აინტერესებთ დღევანდელ მხატვრებს, რითი სულდგმულობენ ისინი. ეს შემოქმედისათვის დიდს ნიშნავს. აი, მაგალითად, ჩემთან სახელოსნოში იყვნენ ცნობილი ამერიკელი მხატვარი როკუელ კენტი და მისი მეუღლე სალი კენტი. როკუელ კენტმა მიამბო რა თემებს წერენ თანამედროვე ამერიკელი მხატვრები, რითი არიან ისინი გატაცებული, როგორია მათი მიდრეკილება მხატვრობაში. თავად მე ჩვენს ნიჭიერ მხატვრებზე ვუამბე.

შარშან აპრილში ლადო გუდიაშვილის სახელოსნოს ესტუმრა თბილისში მყოფი სენატორი ედვარდ კენედი მეუღლითა და შვილებით. ამერიკელი სენატორი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით.

ქალბატონი ნინო ქ. ვაშინგტონიდან მიღებულ სენატორ ედვარდ კენედის დეპეშას მაწვდის:

„ძვირფასო, ბატონო გუდიაშვილო, ახლა როცა ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად დავბრუნდი ვაშინგტონში, ჩვენი ერთ-ერთ უველაზე საინტერესო მოგზაურობის შემდეგ, მინდა მოგწეროთ და გადმოგცეთ გულთბილი მადლობა თქვენი შესანიშნავი მასპინძლობისათვის. აგრეთვე თქვენი ერთ-ერთი ნამუშევრის საჩუქრად გადმოცემისათვის. მინდა მოგახსენოთ, რომ როგორც კი თქვენს ნამუშევარს მივიღებთ, ხელოვნების ეს ნიმუში საპატიო ადგილს დაიჭერს ჩემს სახლში. იგი უოველთვის გამახსენებს ჩვენს შესანიშნავ მოგზაურობას თბილისში.

გულთბილი მადლობა და კეთილი სურვილებით.
კენედი".

კითხულობთ შთაბეჭდილებათა წიგნს და რომელი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანის გამონათქვამს არ შეხვდებით მის ფურცლებზე: ვენესუელელი მხატვარი ხეერარ რენხიფო, მექსიკელი ხელოვნებათმცოდნე ფერნანდო გამბოა, შვეიცარიელი დრამატურგი ფრიდრიხ დიურენმატი, ინდოელი მწერალი ხაჯაფ ზაბირი, ამერიკელი მხატვარი უილიამ სმიტი, პიანისტი ნეიგაუზი, ესპანელი მწერალი ლუის ლანდინესი, ბულგარელი მხატვარი ტოდორ დიკოვი.

რასაკვირველია, ჩანაწერთა კალიგრაფიაც მრავალფეროვანია: ინდური თუ ფრანგული, გერმანული თუ კამბოჯური, ინგლისური თუ იაპონური.

ჩილელი პოეტი კატალინა პარა თავის აღტაცებას ლექსად გამოხატავს; ასევე ლექსად გამოხატავენ თავიანთ შთაბეჭდილებას ჩვენი დიდი მეგობარი ბორის პასტერნაკი, პოეტი ტეტერევი, ცნობილი ქართველოლოგი, რუმინელი ვიქტორ კერნბახი, მწერლები ე. ევტუშენკო, ს. კუნაევი, ბ. ახმადულინა, რ. როჟდესტვენსკი, მ. ბაჟანი, ო. გონჩარი...

უკანასკნელ წლებში, რაც უფრო ფართოვდება ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, იზრდება ლადო გუდიაშვილის პოპულარობაც; თბილისში ჩამოსული უცხოელი სტუმრებისათვის გუდიაშვილის სახელოსნო ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად იქცა.

ვასედას უნივერსიტეტის (იაპონია) პროფესორი ტაცუო კუროდა წერს: „თქვენი შემოქმედება ზღაპრული ოცნებაა, რომელსაც თქვენი ფერადოვანი მუსიკა ჰქმნის, თქვენი შემოქმედება უკვდავია!"

საიდ ნაფისი: „ლადო გუდიაშვილის შედევრებმა, რომელთა აღწერა ჩემთვის შეუძლებელია თუნდაც დროის სიმცირის გამო, ჩემს გულში ათასგვარი ხატი ამოჭარგა, წუთისოფელი ვერ წაშლის მათ ჩემს მეხსიერებიდან. თუმცაღა მსოფლიოში მხატვრობა საკმაოდ გავრცელებულია და მხატვარიც მრავალია, მაგრამ ლადო გუდიაშვილის მხატვრობა სულ სხვაა".

ვფურცლავთ შთაბეჭდილებათა წიგნს, კვლავ ახალი და ახალი სახელები:

აი, ცნობილი ქართველოლოგის რენე ლაფონის ჩანაწერი ქართულ, ფრანგულ, ბასკურ ენებზე:
„დაუვიწყარი მიღების სახსოვრად ლადო გუდიაშვილს, საქართველოს უბრწყინვალეს შვილს".

უნგრელი მხატვარი ტოდორ დურაი თავის შთაბეჭდილებას ნახატით გამოხატავს „გუდიაშვილი ოლიმპზე". სახელოსნოს სტუმრები—მუსიკოსები კი თავიანთ შთაბეჭდილებას ნოტებით წერენ.

ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ პრისტლი თავის წიგნში, რომელიც მან საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაწერა, აი, როგორ იგონებს გუდიაშვილთან შეხვედრას: „ქართველების სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა ანტიკურ დონეზე დგას, რაც დასავლეთ ევროპას ეს ბოლო საუკუნეების მანძილზე აღარ ახასიათებს. მაგალითად, სტუმრად ვიყავი ცნობილ ქართველ მხატვარ ლადო გუდიაშვილთან, რომელმაც სახელი გაითქვა პარიზში 20-იან წლებში. მისი სამუშაო ოთახის კედლები დაფარულია დიდი ნახატებით, მან შემამჩნია, რომ მე განსაკუთრებით მომეწონა მის მიერ დახატული პატარა, მაგრამ შესანიშნავი სურათი ქართველი პრიმიტივისტი მხატვრის ფიროსმანისა, რომელიც სიღარიბეში მოკვდა. ახლა კი საქვეყნოდაა ცნობილი. გამომშვიდობებისას გუდიაშვილმა ჩამოხსნა ეს სურათი და გადმომცა. რა იშვიათად ხდება ამდაგვარი რამ ჩვენს პატივცემულ ინგლისელ მხატვართა სტუდიებში".

თავაულებლივ ვკითხულობ შთაბეჭდილებათა წიგნს. ვცდილობ კედლებისკენ არ გავიხედო, მაგრამ ცდუნება დიდია და მოხიბლული შევყურებ გუდიაშვილის ცნობილ დიდ ფერწერულ ტილოს



მხატვარი როკუელ კენტი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან.

„[illegible] მესტუმრე ზღაპრებს უვება და ჩვენს თვალწინ იშლება ამ ზღაპართა შინაარსი მხატვრის ფანტაზიით ამეტყველებული. [illegible], ლეგენდად ქცეული ოქროს ვერძი, [illegible] და კოლხი მედეა, დევის თავზე შემომჯდარი [illegible], კი[illegible] ფანტასტიკური [illegible] წარმოსახავს ეს დიდებული ტილო. შორს საქართველოს თვალწარმტაცი, ციხე-კოშკებით მოხატული პეიზაჟი მოჩანს.

მხატვარი მიხვდა ჩემს მზერას და მკითხა:

—აბა, დააკვირდით ამ სურათს, თუ რამეს ამჩნევთ? — შემდეგ მიხსნის, — ხედავთ, ციდან ჩამოსული დევი მხოლოდ ოდნავ ეხება ჩვენს მიწას, თითქოს უფრთხილდება, არ დააზიანოს საქართველოს ველ-მინდვრები!

მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული იგრძნობა მის ყოველ ნამუშევარში.

— ბატონო ლადო, არ გენანებათ როცა თქვენს ნამუშევრებს გაასაჩუქრებთ ხოლმე?

— რა მოგახსენოთ, რასაკვირველია, თითოეულ

ედუარდ გიგილაშვილისა და ვიქტორ ჯეირანელის ფოტოები.



ფრანგი სტუმრები ლადო გუდიაშვილთან.



ეროვნული ბიბლიოთეკა



დანიის დედოფალი მარგრეტე მეორე და მისი სამეფო უმაღლესობა პრინცი ჰენრიკი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან.

მათგანთან დაშორება ადვილი არ არის, მაგრამ მინდა ჩემმა სტუმრებმა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოჩენილმა მოღვაწეებმა, ჩემი სურათებით მოიგონონ საქართველო და სხვებსაც უამბონ ჩვენს ქვეყანაზე!

საუბარი გრძელდება.

— ქალბატონო ნინო, თქვენთვის ხომ მომქანცველია ამდენი სტუმრის მიღება და მათი გამასპინძლება?

— მე ეს აუცილებლობად მიმაჩნია, განა ყველა კეთილი გულით მოდის ჩვენთან?

ხშირად ქართული მასპინძლობა სულ სხვაგვარად განაწყობს ადამიანს. მე ბევრჯერ მომიგია ასე ვთქვათ ომი, ჩვენს მიმართ არაკეთილად განწყობილ ადამიანებთან.

მინდა გიამბოთ ერთი ასეთი შემთხვევა:

დაგვირეკეს, რომ ჩვენთან მოიყვანდნენ ინგლისელ სტუმარს, გვარად დარვინს, რომელიც ჩარლზ დარვინის შთამომავალი ყოფილა. მას ლონდონში საგამოფენო დარბაზი ჰქონია. იგი მოვიდა. ასე, საშუალო ტანის კაცი იყო, საკმაოდ ცივი გარეგნობის. იგი დარბაზში დადიოდა, ყველაფერს ათვალიერებდა და კითხულობდა ეს ვისიაო. მისი საქციელით გაოცებული დავრჩით. ლადო ისე გაბრაზდა, რომ უპასუხა—მე მაღალი კიბე მაქვს, შემოგიტანთ, აბრძანდით და სურათზე თავადვე წაიკითხეთ გვარიო. მან ბოლოში მოიხადა, — არა, მე მჯერაო. შემდეგ უკვე ავეჯზე გადავიდა, იკითხა ვისიაო. ეს უკვე მეტისმეტი იყო.

მე მოვხარშე ყავა, გავშალე სუფრა და ინგლისელი სტუმარი მაგიდასთან მივიწვიე. ცოტა ხანიც და იგი სრულიად შეიცვალა. ბოლოში მოგვიხადა და გვითხრა: თქვენ რომ იცოდეთ ჩვენში რას წერენ თქვენს ქვეყანაზე, თქვენს ადამიანებზე, ჩემი საქციელი არ გაგიკვირდებოდათო.

კვლავ შთაბეჭდილებათა წიგნს ვუბრუნდები. ქალბატონი ნინო ახლა ჩემთან ერთად ათვალიერებს ჩანაწერებს და თითოეულ სტუმარზე მესაუბრება.

...ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი უილიამ უაილერი, გერმანელი პოეტი რაინერ კირში, ფინელი მწერალი მარტი ლარნი და ა. შ. და ა. შ.

სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, საბჭოთა კავშირის გმირს ნ. რუკავიშნიკოვს ლადო გუდიაშვილმა საჩუქრად თავისი ნამუშევარი გადასცა. ამის შესახებ აი, რას წერს იგი: „ძვირფასო ლადო დავითის-ძევ! თქვენ გწერთ ყველაზე ტექნიკური ადამიანი, კოსმონავტი მფრინავი. თქვენმა მხატვრობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. თქვენ ნამდვილად დიდი მხატვარი ბრძანდებით. დაე, თქვენი სურათები იყოს ყველაზე ძვირფასი დედამიწაზე მცხოვრები ადამიანებისათვის“.

— ქალბატონო ნინო, — კვლავ კითხვით მივმართავ მასპინძელს, — ხომ ვერ გვეტყვით მსოფლიოს რომელი ქვეყნის მუზეუმებს ამშვენებს ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები?

— ლადოს სამი ათასამდე ნამუშევარი აქვს შექმნილი, აქედან ერთი მესამედი საქართველოს ფარგლებს გარეთ ინახება. პარიზული პერიოდის ნამუშევრები ამჟამად არის ესპანეთის, ამერიკის, ინგლისის და სხვ. მუზეუმებსა და კერძო პირთა კოლექციებში.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედებისადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება. მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს დელეგაციასთან ერთად ბერლინში რომ ჩავედით, დრეზდენის გალერეის დირექტორი გვესტუმრა და გვთხოვა, ლადო გუდიაშვილის ნამუშევარი მოგვყიდეთო.

ლადომ დრეზდენის გალერეას უსასყიდლოდ გაუგზავნა თავისი ცნობილი ფერწერული ტილო „თეთრი რაშები“ და პასტელით შესრულებული ნამუშევარი.

გრძელდება სტუმარმასპინძლობა. ლადო გუდიაშვილის სახელობის შთაბეჭდილებათა წიგნში სულ ახალი და ახალი ჩანაწერები ჩნდება. ბედნიერება და ჯანსაღი სიცოცხლე ვუსურვოთ სილამაზის, მშვენიერების სახლის მასპინძლებს ლადო და ნინო გუდიაშვილებს.



გამომცემლობა „რირონშას“ დირექტორი, იაპონელი მწერალი რიოხეი კომიამა.

სანდრო შანშიაშვილი

# ახალი ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „დროშის“ უახლოეს თანამშრომელს, მხცოვან პოეტს სანდრო შანშიაშვილს მიმდინარე წლის 26 ივლისს დაბადების 87 წელიწადი შეუსრულდა. პოეტმა დასაბეჭდად შემოგვთავაზა ახალი ნაწარმოებები. რედაქცია სიამოვნებით აქვეყნებს რამდენიმე ლექსს.

## დარდი და სიხარული

მე, ახალგაზრდამ, არ ვიცოდი დარდი რა იყო,
წამოვიზარდე, ჩემი გული ორად გაიყო.
ერთს რაც მოსწონდა, მას მეორე არ იკარებდა
და გაჩნდა დარდი მოლუშული და ჭრელთვალება.
დარდი და ნორჩი სიხარული ძმები არიან:
ერთმანეთს ცვლიან და ორივე წარმავალია!
თუ გსურს ოჯახში თავისუფლად გიცემდეს მაჯა
და სიხარული შენი ხშირი სტუმარი იყოს,
იცოდე, დარდსა ანადგურებს შრომა და გარჯა!

## რჩევა ჩემს ნაცნობს

მტერი არა ვარ,
რჩევას გაძლევ...
ღონიერი გაქვს მარჯვენა,
მაგრამ რატომ დააკისრე
მოხუც მშობლებს შენი რჩენა?

უგზო-უკვლოდ ხეტიალით
რამდენ ძვირფას შენ დროს ჰკარგავ;
უსაქმობას შეჩვეული,
შენ ვერც მომკი და ვერც დარგავ.

კიდევ დრო გაქვს, გონს მოხვიდე...
ნუ დარბიხარ გარე-გარე.
ეს იცოდე: მხოლოდ შრომით
შენს ცხოვრებას მოაგვარებ.

## წინამორბედი

რა განძი ვპოვე ძვირფასეული,
მრავალფერადი, სხივად ფრქვეული.
მან წარმიტაცა, ვიქმენ ძლეული!

მოდი და ნახე როგორ ანათებს...
აქვე იხილავ სიბრძნის ბარათებს,
კაცის ბუნების გარდამქნელია!
მახინჯი მტრისთვის — გულისმკვლელია!

ვინ დაგვიტოვა ძვირფასი განძი?
რომელი ხალხის გამოზრდილია?!
ის იყო დიდი წინამორბედი
და მას სახელად ერქვა ილია!

## შეგონება

უთქვამთ: ჭამაში მარტო კაცი
შესაბრალია!
მრავალი ხელი,
ერთი პირი — საქებარია!
საერთო საქმეს ვინც გაურბის,
ჩვენთვის მკვდარია!
ისეთი ნერგი უნდა დარგო,
მან სხვასაც არგოს!
გიყვარდეს ხალხი,
რომ სახელი არ დაგეკარგოს!



ესკიზი ქართული მუზეუმისათვის






თავსართი წიგნისათვის.







„ტალღები“



ილუსტრაცია წიგნისათვის „ქართული ხალხური პოეზია"



ილუსტრაცია წიგნისათვის „ამბავი მამაცი მანჩასი და მშვენიერი მადინასი"

# გულდა კალაძე



ესკიზი ქანდაკებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩანახატი

ილუსტრაცია წიგნისათვის „ქართული ხალხური პოეზია"



ილუსტრაციები კ. კალაძის წიგნისათვის „თეთრი მტრედის საიდუმლო"









თავსართები წიგნისათვის „ასი ჰლაკარი"



წიგნის გარეკანი



გაზაფხული



# გულდა კალაძე

იგი ყოველთვის გამოირჩეოდა ყველასაგან დიდი პროფესიული კულტურით, ამაღლებულისა და მშვენიერის ღრმა სიყვარულით. მან სიცოცხლე თიხას შეალია და თავისი ხანმოკლე შემოქმედებითი მოღვაწეობის გზაზე ძალიან ბევრი შესძინა ქართულ ხელოვნებას. მაღალი ნიჭის შემოქმედი ქმნიდა თავისებური პლასტიკითა და მონუმენტურობით აღბეჭდილ ქანდაკებებს, მასშტაბურ ბარელიეფებს.

ახალგაზრდა ხელოვანის, მოქანდაკის, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის გულდა კალაძის მიერ შესრულებული კერამიკული პანოები ამშვენებენ ჩვენს ქალაქებს, კურორტებსა და გზებს. რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებს ყოველთვის ამშვენებდა მისი ნაწარმოებები: „ყურძნის მტევანი", „განთიადი", „ქალის ტორსი", „ბიჭვინთის ქალთა სამაია", ესკიზი კედლისათვის და გრაფიკული ჩანახატები. მის მიერ შექმნილმა მარუხის გმირთა მემორიალმა საქართველოს კომკავშირის პრემია დაიმსახურა.

გულდა კალაძეს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის წიგნის გაფორმების საქმეში. მის მიერ გაფორმებულმა ქართული ხალხური ზღაპრების კრებულმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მაღალნიჭიერი, გულმართალი, შესანიშნავი მოქანდაკე და მამულიშვილი ადრე წავიდა ჩვენგან, ისე ადრე, რომ ვერც კი მოასწრო ყველა ნამუშევარი გაეცნო ფართო საზოგადოებრიობისათვის, თვით ახლობლებისთვისაც კი.

გთავაზობთ გულდა კალაძის ნამუშევრებს. რაც ამ მრავალმხრივი და საინტერესო მხატვრის ნიჭის კიდევ ერთი დადასტურებაა.

# აქ დღეს მამულში



რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" რეკონსტრუქცია უკვე დაიწყო. იგი შეეხება როგორც ძირითად საამქროებს, ისე წარმოების დამხმარე უბნებს.

კომბინატის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა განხორციელდება დიდი მწარმოებლობის საბჭოთა და იმპორტული მოწყობილობის ბაზაზე.

რეკონსტრუქციის შემდეგ საწარმო წელიწადში 1,9 მილიონი მეტრით მეტ ქსოვილს გამოუშვებს. ახალი ტექნიკა 400-ზე მეტ კაცს გამოათავისუფლებს.



რეკონსტრუქციის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ზედა ეწერის ჩაის ფაბრიკის წარმადობა.

●

ზუგდიდის რაიონის საბჭოთა მეურნეობებს შეემატა დარჩელის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა და ორსანტიის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა.

●

სოფელ რუხში, დიდნეძში, ოდიშში, ორულში აშენდა ტიპიური სკოლები.

●

სოფელ კახათსა და ახალკახათში ნორჩი აღსაზრდელებისათვის აშენდა საბავშვო ბაღები.

●

ახლახან მწყობრში ჩადგა კახათის ჩაის ფაბრიკა.

●

მდინარე ცხენისწყალზე მთავრდება ახალი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობა. მისი სიგრძე 10 მეტრი იქნება. ხიდი დააკავშირებს წულუკიძისა და გეგეჭკორის რაიონებს; იგი მნიშვნელოვნად შეამოკლებს მანძილს როგორც აბაშამდე, ისე ცხაკაიამდე.

●

თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში ჩვენს ქვეყანაში პირველად დაიწყო მცირე გაბარიტიანი დეტალების სახეხი და საპრიალებელი ახალი ვიბრაციული დანადგარების სერიული წარმოება. ასეთი მანქანების პირველი პარტია ალმა-ათისა და სიმფეროპოლის ქარხნებს გაეგზავნა.

ეს სიახლე ცვლის ხელით შრომას, მოხერხებულია საექსპლოატაციოდ.

●

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში საექსპლოატაციოდ გადასცეს ავტომატური ხაზი. ერთ საათში იგი თოთხმეტი ათას საერთო რვეულს დაამზადებს. მისი სრული სიმძლავრით ამოქმედება 600 ათასი მანეთით გაზრდის წარმოების რენტაბელობას. სამუშაოს, რომელსაც წინათ 50 კაცი ასრულებდა, ახლა სულ ხუთი კაცი აუდის.

დაამონტაჟებენ და მწყობრში ჩააყენებენ ქაღალდის დასამზადებელ მანქანას, რაც წელიწადში თითქმის ცხრა ათასი ტონით გაზრდის საწერი და რვეულის ქაღალდის გამოშვებას. ძველი სახარში ქვაბის ახლით შეცვლა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ცელულოზის ხარისხს და 60 ათას მანეთს დაზოგავს.



●

საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის ხილ-ბოსტნეულის კომბინატის მაცივარი. იგი გათვალისწინებულია თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში მოწეული ხილისა და ბოსტნეულის შესანახად. კომბინატი აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით, მძლავრი სამაცივრო დანადგარებით.

მისი სიმძლავრე წელს 10 ათასი ტონით გაიზრდება. მომავალში აქ შეინახავენ და გადაამუშავებენ თბილისელი და რუსთაველი მცხოვრებლებისათვის განკუთვნილ 80 ათასამდე ტონა ბოსტნეულსა და ხილს.



სოფელ ჭითაწყაროში დასასრულს უახლოვდება მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის მშენებლობა.

●

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სოფელ ორულში ექსპლოატაციაში შევა მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსი.

●

ქუთაისში მწყობრში ჩადგა ახალი ფაბრიკა „გელათის" სამკერვალო გაერთიანების სათავე საწარმო.

ოთხსართულიანი სამრეწველო კორპუსი აღჭურვილია 200-ზე მეტი მანქანა-დანადგარით. მთელი ტექნოლოგიური პროცესი მექანიზებულია.

ფაბრიკის საპროექტო სიმძლავრე არის ხუთ მილიონამდე მამაკაცისა და ბავშვის პერანგი წელიწადში.



# ლატვიური პოეზიიდან

ახალგაზრდა პოეტი რენე კალანდია რამდენიმე წელიწადია ლატვიაში ცხოვრობს ლატვიური ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. ლატვიელი მეგობრების ხელშეწყობითა და დახმარებით იგი კარგად დაეუფლა ლატვიურ ენას, ახლოს გაეცნო მოძმე ხალხის კულტურასა და მწერლობას.

ამას წინათ რედაქციამ რიგიდან მიიღო პოეტის წერილი და თარგმანების ნიმუშები თანამედროვე ლატვიური პოეზიიდან.

ვბეჭდავთ რენე კალანდიას რამდენიმე თარგმანს.

მირძა კემპე
ლატვიის სახალხო პოეტი

## ნათელი სარკმელი

ტყე განფენილა ბინდში, დუმილი
ზემორე ჩემსა ახე ნათელი,
სარკმელი შენი — სხივთა სურვილი,
სარკმელი უტყვი, ღამენათევი.
ციალი მისი ცეცხლის ქინია,
თვალში მელვრება და იფანტება,
მანამ ის მიმზერს, ნუ გეშინია —
არაფერიც არ დამემართება,
არაფერიც არ დამემართება,
მანამ სარკმელი მიკიაფდება.

## მწვანე ხე

ცირცელი კენკრით ცეცხლმოდებული,
არდაკრეფილი, სიმწრით ქებული —
ჯადოსნური ხე სიყვარულისა.

რად მალავ ბაგეს ბადახშიანსა?
ისიც ვკრძალვის ორთოლვას ხმიანსა,
გულდაბინდული ხე სიყვარულის.

მასში მუქ-ლურჯი ალი ციალებს,
ხელშეუხები ჯერაც შრიალებს, —
გულამაყი ხე სიყვარულისა.

მარის ჩაკლაისი

## სალასპილსში*

დასავლეთის ქარს
ზაფხულში მოაქვს
სიკვდილის ლანდი — შეხსენებანი.
მე ვდგავარ ბინდის დაუგავასთან
შემოდგომის შრიალა ღამით
და მეჩვენება,
რომ ვიღაცა თხოულობს შველას.
საზარელი არს — დაყარო ფერფლი
იისფერ თოვლზე, თუმც კარგად ვიცი,
ფერფლი იგი არყის ხისაა.
შემზარავია...
აპრილში,
როცა ყვავილობენ
ფართეჯამა ფურისულები,
ბორცვებიდან მითვალთვალებს
უსახელო საფლავთა ხვედა.
ვერ იქნა და ვეღარაფრით ვერ მივეჩვიე,
რომ სალასპილსში ვცხოვრობ.

---

* ადგილი, რიგიდან 17 კილომეტრზე, სადაც იმყოფებოდა საკონცენტრაციო ბანაკი. ამ ბანაკში გერმანელმა ფაშისტებმა წამებით მოკლეს 100.000-ზე მეტი საბჭოთა ადამიანი.

შეხედეთ ღამით,
უცაბედად შეხედეთ ღამით,
პატარებს სძინავთ ისეთი ძილით,
რომ მსოფლიო ომი ხდება შეუძლებელი.
ჩახუტებულნი
მშიშარა კურდღლებს და უმამაცეს დათუნიებს,
ანდა ახევე საყვარელი ბალიშის კიდეს, —
წარმოუდგენელ პოზებში სძინავთ

## როგორ სძინავთ ბავშვებს

ფეხებგაშოტილთ.
პაწაწინა თეთრი ფეხები!
გარდასული დღის ღიმილია
თუ ტკივილი მომავალ გზათა—
ვინ იცის, ნეტავ!
მაგრამ ჩიტუნას,

ბაგეების კუთხეში რომ ჩაბუდებულა,
მშვიდი ძილის ნაზი ფრთები აქვს.

ისეთი ნდობით სძინავთ პატარებს,
რომ მსოფლიო ომი ხდება შეუძლებელი.
და საერთოდ ყოველგვარი ომის ხანძარი.
მითუმეტეს სამიწელია,
ომის მცირე შესაძლებლობაც.

არვიდ სკალბე

* * *

ღამით, როცა ცას ბზარავს წეროების ყივილი,
ურთულეს გზის გამკვლევთა, სვედის ვარსკვლავმრიცხველთა,
მეც მივფრინავ თითქოსდა, მერე ცოდვილ ფიქრებთან
მოდის შიში, ფრთა მტყდება უმძიმესი ტკივილით.

კარგად ვიცი: ფრინველებს ესპანეთი ალაღებს,
კიდევ თეთრი ნილოსი, შორეული კენია.
და სამხრეთი — მხურვალე სიყვარულის გენია,
ნაზი, შემოდგომური ფრთოსანთ არ უღალატებს.

ჩემშიც სახლობს სამხრეთი და სურვილი მიღოღავს
სულის ველზე ქვივილად, მოლოდინად, ლანდებით,
მაგრამ ხიდვა ფეხები: აკაციის სანთელი —
ცეცხლოვანი კეწწარო შარას გადამიღობავს.

არ დავნებდები. ამ მიწის ვართ ვევში ბევრი,
მაგრამ ოდესმე ეს ლოდივით საღამო-ჩრდილით,
თავშეწუხული ანდებს თვალში შევხედავ, მერე
გაიმართება ჩემი მხრებიც — ერთხელ მოხრილი.

პავილ ვილიპსი

## ხიროსიმა

ჯერ ხომ აღარ დაგვიწყნია ხიროსიმა, მეგობარო, ძვირფასო ჩემო?
გახსოვს, ტკივილის გრიგალებით გაწამებულ ათასეულთა
დაკლაკნილი სიცოცხლის ხმები?
ალუბლის ბაღთა ვარდისფერი სამყაროს ცაზე
გადაიქროლეს კოშმარების ტაიფუნებმა.

ჯერ კიდევ ბოლავს ხიროსიმა...
განთიადთან შეხვედრისას კანკალებენ ალუბლის რტონი
და კიდევ... გული.
ჯერ კიდევ ხრჩოლავს ხიროსიმა...
ჯერ კიდევ ბოლავს...

# ფრიდრიხ ჰელდერლინი და საქართველო

გერმანელმა მწერალმა ფრიდრიხ ჰელდერლინმა (1770-1843) მსოფლიო აღიარება ამ უკანასკნელ ხანებში მოიპოვა. ამიტომ გასაკვირი არ არის, მისი ქმნილებანი, კერძოდ ლექსები, პირველად ახლა რომ ითარგმნება ქართულად.

ჰელდერლინის პოეტური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ლექსი „მოგზაურობა", რომელსაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში ჩანს პოეტის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

ამ ლექსს ყურადღება პირველად გერმანელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ალფრედ კურელამ მიაქცია.

თბილისში სტუმრად მყოფმა კურელამ 1967 წ. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 47, 24 XI) დაბეჭდა სტატია „დიდი მნიშვნელობის შეხვედრა", რომელშიც ლაპარაკობდა გერმანელი ხალხის საუკუნეობრივ სწრაფვაზე სამხრეთისაკენ, იტალიისაკენ, აგრეთვე საქართველოსაკენ. საქართველო გერმანელთა ოცნების ახალი ქვეყანა გახდა, — განაცხადა კურელამ, — მან მოიგონა შემდეგი ფაქტი: 150 წლის წინათ დიდმა გერმანელმა პოეტმა ფრიდრიხ ჰელდერლინმა თავის ლექსში „მოგზაურობა" გამოთქვა აზრი, რომელიც არც მანამდე, არც შემდგომ არავის გამოუთქვამს გერმანულ ლიტერატურაში. ა. კურელამ აღნიშნა, ეს ლექსი ღრმად წინასწარმეტყველურიაო. ლექსი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ძველად როგორ წავიდნენ გერმანელები კავკასიაში, აქ მათ ჯერ უნდობლად შეხვდნენ. მერე ერთმანეთში გაცვალეს იარაღი და დამძმობილდნენ. სურათის სისრულისათვის კურელას შეეძლო გაეხსენებია ჰელდერლინის მეორე ლექსიც: „დუნაის სათავეებთან". ამ ლექსში ლაპარაკია კავკასიაზე, მის ბუნებაზე.

რა შეიძლება ედოს საფუძვლად „მოგზაურობას"? რომელი ისტორიული ფაქტის ეკუფენას წარმოადგენს იგი, სად და როდის მოხდა ქართველ და გერმანელ ტომებთა ურთიერთშეხვედრა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ჩვეულებრივ გაურბიან ჰელდერლინის თხზულებათა მკვლევარები. ორი ავტორი მაინც გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებას. მაგალითად, 1969 წელს მაინის ფრანკფურტში დასტამბული ჰელდერლინის ორტომეულის ანონიმი კომენტატორი ჩივის, ძნელია ითქვას, ძველ დროში მომხდარ გერმანელ ტომთა რომელ მოგზაურობას აღწერს პოეტიო. მაგრამ იგი აქვე ვარაუდობს, რომ პოეტის მიერ დახატული სურათი არის 1770 წელს ეკატერინე მეორის დროს შავ ზღვასთან გერმანელთა ტომის — შვაბების გადმოსახლების პოეტური ანალოგია (იხ. პირველი ტომის შენიშვნები, გვ. 75). ანონიმი კომენტატორი ეტყობა სხვა ისტორიულ ფაქტს არ იცნობს და შეიძლება ამიტომაც ტყუვდება ადვილად იმ დეტალით, რომ პოეტის მშობლიური კუთხე შვაბიაა და ეკატერინე მეორის დროს ჩვენში გადმოსახლებული გერმანელებიც სწორედ შვაბები იყვნენ.

მეორე მკვლევარი ვარაუდობს, თითქოს „მოგზაურობაში" ჰელდერლინი ეყრდნობა ცნობილ გერმანელ ხელოვნებათმცოდნე ვინკელმანს, რომელსაც თავის შრომებში ძველბერძნული სამყაროსა და ხელოვნების შესახებ ჩართული აქვს შენიშვნები საქართველოზე (იხ. ნ. კაკაბაძე, „საქართველოს თემა გერმანულ ლიტერატურაში", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", № 6, II, 1969). ჰელდერლინისათვის ვინკელმანის ცოდნა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვინკელმანი მიუთითებს ქართველი ხალხის გარეგნულ სილამაზეზე, საქართველოს მდიდარსა და წარმტაც ბუნებაზე, ხოლო ჰელდერლინი, მისგან განსხვავებით, ლაპარაკობს გერმანელთა მიგრაციაზე, კავკასიაში ჩამოსვლაზე, კოლხეთის მცხოვრებლებთან შეხვედრასა და დამოყვრებაზე, და ბოლოს — საქართველოში დასახლებაზე. აღნიშნული ვარაუდი, თვით ავტორისავე შეფასებით, „ნაუცბათევია" და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დავეთანხმოთ ამ შეფასებას.

რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ საქართველოსა და გერმანიის ისტორიულ წარსულს, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ჰელდერლინამდე არ მოიძებნება სხვა ფაქტი, გარდა ერთისა — გერმანული ტომის, გოთების გამოჩენა დასავლეთ საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის შუახანებში.

მესამე საუკუნის პირველ ნახევარში გოთებმა შემოაღწიეს ყირიმის ნახევარკუნძულზე და ჩრდილოეთ კავკასიაში, დაიკავეს მდინარე დონის ორივე ნაპირი. მათ ხელთ იგდეს ბოსფორის ფლოტი, რითაც შემდეგ თავდასხმებს აწარმოებდნენ შავიზღვისპირეთში, კერძოდ, კოლხეთის სანაპიროზე.

მეხუთე საუკუნის დასასრულის ისტორიკოსი ზოსიმე თავისი ნაშრომის „ახალი ისტორიის" პირველ წიგნში მოგვითხრობს, რომ გოთები (იგი მათ შეცდომით სკვითებს უწოდებს — შ. რ.) 252 წელს ბოსფორის ხომალდებით გადმოვიდნენ კავკასიის სანაპიროზე და თავს დაესხნენ პიტიუნტს...

ზოსიმე ცნობილია როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსი. მაგრამ განათლებით, სულისკვეთებითა და ორიენტაციით იგი რომაელია. არ არის გამორიცხული, რომ იგი, როგორც რომაელი, მიკერძოებით გაამუქებდა ისტორიულ ფაქტებს. ზოსიმეს ცნობა ჩვენ მოვიტანეთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველ ტომში (1970, გვ. 553) წარმოდგენილი რედაქციით. საიდანაც ვიგებთ, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ურთიერთს ებრძოდნენ მოთარეშე გოთები, უფრო ადრე კი რომაელთა გარნიზონები. მაგრამ იმ გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციაში ვის მხარეზე იყო მოსახლეობა, ამის შესახებ ძამთაამწერელი, სამწუხაროდ არაფერს გვამცნობს.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების" თანაავტორი და რედაქტორი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც შემოსეულ გოთებს რომაელებთან ერთად აქტიურად ებრძოდა ტრაპიზუნტის მხარის მთელი მოსახლეობა, ფაზისის რაიონში გოთების წარუმატებლობა გაპირობებული იყო სწორედ ლაზთა სამეფოს ძლიერების ზრდით, (იქვე, გვ. 553-554).

მაგრამ დალაშქრულ რაიონთა მოსახლეობა მარტო ფაზისისა და ტრაპიზუნტის მხარის მცხოვრებლებით არ ამოიწურებოდა... გოთები ეწვივნენ დასავლეთ საქართველოში ლაზიკასა და მთელი შავი ზღვის ნაპირებს. გამორიცხული არ არის, რომ ქართველთა რომელიმე ტომი ან სხვა რომელიმე ქალაქის მოსახლეობა, წელში გატეხილი რომაელთა მეუფებით, აგრეთვე განაწყენებული და შეშფოთებული ლაზთა სამეფოს ძლიერების ზრდით, ორიენტაციას აიღებდა მოთარეშე გოთების ტომზე და მასში დაინახავდა როგორც რომაელთა ბატონობის დამთრგუნველ, ახევე ლაზების მზარდი ძლიერების შემზღუდველ ძალას. სხვანაირად, მესამე საუკუნის შუახანებში ქართველებისა და გერმანელების ურთიერთშეხვედრისას თუ ქართველთა ერთმა ნაწილმა კოლხეთში უფრო ადრე ფეხმოკიდებული რომაელების მხარე დაიკავა, მეორე ნაწილი, ჩვენი ვარაუდით, დაუმეგობრდა გოთებს, საერთო მტრის, რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველთა ერთ ნაწილს და გოთებს ჰყავდათ საერთო მტერი რომაელთა სახით და ურთიერთსიმპათიის ძლიერი საფუძველი სწორედ რომაელებისადმი ზიზღი და მათი თავიდან მოშორების სურვილი უნდა ყოფილიყო. თუ ჩვენი ვარაუდი რამდენადმე საფუძვლიანია, მაშინ გასაგები ხდება ჰელდერლინის ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველებმა და გერმანელებმა ურთიერთს ძმურად გაუწოდეს ხელი, გაცვალეს იარაღი და გაიყვეს ქონება, მეტიც: ისინი დანათესავდნენ და ერთად დასახლდნენ.

ამგვარად, შეუძლებელია რომ ჰელდერლინის ლექსში „მოგზაურობა" დავინახოთ მეთვრამეტე საუკუნეში შავიზღვისპირეთში შვაბების გადმოსახლების პოეტური ანალოგია; არც ისაა სწორი, რომ თითქოს მასში პოეტი ეყრდნობოდეს ვინკელმანისეულ ცნობებს საქართველოს მდიდარ ბუნებასა და მისი ხალხის სილამაზესთან დაკავშირებით.

ჰელდერლინი ცნობილია თავისი მრავალმხრივი და ღრმა განსწავლულობით. საბერძნეთისა და რომის ისტორიის საუკეთესო მცოდნე ჰელდერლინმა არანაკლებ კარგად იცოდა თავისი ერის წინაპართა ლაშქრობანი. იქნებ მას ხელთ ჰქონდა ქართველებისა და გოთების მეგობრობაზე რაიმე ისეთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენი მეცნიერებისათვის ჯერჯერობით უცნობია.

საკვლევი და საძიებელი ისაა, საკუთრივ თუ რომელი წყაროთი იყო ინფორმირებული პოეტი.

პროფ. შოთა რევიშვილი

## მოგზაურობა (ნაწყვეტი)

მე კი მიმიწევს მაინც გული კავკასიაში!
რადგან მსმენია,
დღემდე ზღაპრად გამიგონია:
იქ პოეტები მერცხლებივით დანავარდობენ —
მათი ხვედრია თავისუფლება!
გარდა ამისა, ბავშვობაში მიამბეს ისიც,
რომ გერმანული ტომი ჩვენთა მამა-პაპათა
სამხრეთს წასულა, ჩაჰყოლია დუნაის ზვირთებს,
ჩრდილს დაეძებდა მზიან დღეში და მზის შვილებთან
შავი ზღვის პირას გაშლილ ველზე დასახლებულა.
იმ დალოცვილი ქვეყნისათვის განა ტყუილად
უწოდებიათ სტუმართმოყვარე!
რადგან, ესტუმრა კოლხებს უცხო ხალხი თუ არა,
მიუახლოვდნენ, უცნობსა და ცნობისმოყვარეს,
ზეთისხილის ქვეშ დასვეს თურმე გადამთიელნი.
უცხოდ ემოსათ, უცხო იყო ენაც მოსულთა
და ვერაფერი ვერ გაუგეს ერთიმეორეს.
ის იყო უნდა ჩამოეგდოთ განხეთქილება,
მაგრამ ფოთლები აშრიალდნენ მაცოცხლებელნი,
სტუმარ-მასპინძელს გაებადრა ღიმილით სახე,
ერთხანს ერთმანეთს შესცქეროდნენ მშვიდი ღიმილით,
მერე მარჯვენა გაუწოდეს ერთიმეორეს.
ძმურად გაცვალეს იარაღი,
გაცვალეს სიტყვა,
სიამტკბილობა გადავიდა მამიდან შვილზე.
წმინდა კავშირი საქორწინო შეიკრა შემდეგ.
იზარდა ტომი...
სად ცხოვრობ ახლა, ხალხო, ჩემო სისხლო და ხორცო?
რათა ხელახლა შევკრათ იგი კავშირი წმინდა
და მოვიგონოთ მამა-პაპა დაუვიწყარი?

თარგმნა აკაკი გელოვანმა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქიჯე

ნოველა

რევაზ მიშველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ლევანმა თავისი ახალი კაბინეტის კარი შეაღო, ცოტა არ იყოს შეკრთა, მაგრამ არ შეიმჩნია და გარეგნული სითამამე შეინარჩუნა. „ბოლოს და ბოლოს აქ, ჩემამდე, ვინც მუშაობდა, ისიც ხომ ჩემნაირი კაცი იყო. თუ მან შეძლო, მე რა ღმერთი გამიწყრება?“ — გაიფიქრა მან და საზოგადოების წინაშე თავისი უწმინდესი ვალი გაიხსენა. გაიარა რამდენიმე დღემ და უკვე ცხადად იგრძნო ლევანმა, რომ მმართველის სკამზე ჯდომა გაუჭირდებოდა. „პრინციპს არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვევ, სწორად გავზომავ და სწორად გავჭრი, უსამართლობას არ ჩავიდენ, ლიბერალობას არ დავუშვებ, ლოიალობას არ გამოვიჩენ“. პირველი კვირის განმავლობაში ეს აზრი არ მოსცილებია ლევანს. მაგრამ პირველი კვირა რა არის იმ სოლიდური დროისთვის, რაც ლევანს ამ თანამდებობაზე უნდა გაეტარებინა. ო, რა ძნელი შეიქნა ოფიციალური მოვალეობის და მოქალაქეობრივი მდგომარეობის შეთავსება. ერთი მხრივ იყო ლევანი თანამდებობის კაცი; მაგრამ იგივე ლევანი იყო მამა, ძმა, მეგობარი, ნათესავი... კაცი. ლევანთან მოდიოდნენ და სთხოვდნენ და ლევანი მორიდებულად უპასუხებდა, ეს მე არ მეხებაო, მთხოვნელნი უკმაყოფილოდ სტოვებდნენ კაბინეტს და იყო უსამართლო მითქმა-მოთქმა: „ერთი დღე არავის შერჩენია“, და „რა ნახა ამისთანას“ თემებზე. ვერ იქნა და ვერ იპოვნა ლევანმა ის საშუალო მდგომარეობა, რითაც ზოგიერთი „დიდკაცი“ ასე იოლად გადის ფონს. არ დაეხმარა და დაკარგა კაცი, დაეხმარა და იგივე კაცი ერთი კვირის შემდეგ სხვა სათხოვარით მოადგა. ეს ერთი ველარ გაუკეთა და უმადურმა მთხოვნელმა წინა ამაგიც წყალში ჩაუყარა, შეეძლო და არ გააკეთაო. შეძლებით ბევრი რამ შეეძლო ლევანს, მაგრამ რა ექნა, მისთვის არსებობდა სხვაც — კარიერა, საზოგადოებრივი აზრი, პოზიცია... ლევანი წუხდა, უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, იტანჯებოდა... მონომახის ქუდი მოსალოდნელზე უფრო მძიმე აღმოჩნდა. მიღების დროს მასთან ორი კაცი თუ საქვეყნო საქმეზე შედიოდა, ოცი და ოცდაათი პირადი ინტერესებით აწუხებდა. საოცარი იყო, თითქოსდა ყველას თავისი ცხოვრების მოგვარება, თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება ერთბაშად გადაეწყვიტა და ერთ უპირველეს იმედს ლევან ზვიადაძეში ხედავდნენ. თავისი სათხოვარი ყველას იოლ საქმედ ეჩვენებოდა.

გადიოდა დრო. ლევანი ნათესავებს და მეგობრებს ნელ-ნელა ჰკარგავდა. კბილებით ებღაუჭებოდა თავის პატიოსნებას. რამდენადაც კი ახერხებდა, თავგამოდებით იცავდა სიმართლეს და თავის კაცურ ღირსებებს. მაგრამ დრომ მაინც თავისი გაიტანა. ლევანმა მიღების დღეები შეამცირა, თავისი უწყების თანამშრომლებზე გადაანაწილა ზოგი ძნელად გადასაწყვეტი საქმე. რაღა დაგიმალოთ და ლევანმა ცოტა ტყუილიც ისწავლა. ვიმეორებ, ლევანს ათასი ნაცნობი ჰყავდა, ყველასთვის რომ ყველაფერი გაეკეთებინა, საბჭოთა სამოსამსახურეო აპარატი ლევანის ნაცნობ-მეგობრებით გაივსებოდა. ამაში, შეიძლება, თავისთავად ცუდი არაფერი ყოფილიყო, მაგრამ ლევანის სახელი სხვანაირად გახმაურდებოდა. ამას კი „ამხანაგ ზვიადაძეს“ სხვა ამხანაგები არ აპატიებდნენ. არ აპატიებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც უძველესი საქსონური ანდაზა გვაუწყებს: „ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები ყველას ჰყავს“.

მგონი, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლევანი ძნელად მისაწვდომი გახდა. ტელეფონს იშვიათად იღებდა, მდივანი ქალი თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობდა: „არ არის, გასულია ობიექტებზე, რა ვიცი, როდის იქნება“. რა ექნა ლევანს? ლევანი კეთილი კაცი იყო და მთხოვნელს ცივი უარით ვერ გაისტუმრებდა. ამიტომაც განმარტოების მრავალნაცად გზას დაადგა.

* * *

გასულ ოთხშაბათს, დილის თორმეტ საათზე ლევან ზვიადაძის მისაღებში საშუალო ტანის, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ნეილონის თეთრ პერანგსა და არტელ „დამკვრელის“ მიერ მასობრივი ტირაჟით შეკერილი შალის ლურჯ შარვალში გამოწყობილი შუახნის მამაკაცი შევიდა და განცხადებებზე დახრილ მდივან ქალს ჰკითხა:

— ჰყავს ვინმე?

შეკითხვა, ცოტა არ იყოს, ეშმაკურად იყო დასმული. მოსულს რომ ეკითხა, ზვიადაძე აქ არის თუ არაო, მდივანი ქალი, რა თქმა უნდა, ეტყოდა: არ გახლავთ, ობიექტზეაო.

— ჰყავს! — მიუგო მდივანმა თავაუწევლად.

— გარედან არის ვინმე თუ შინაური ჰყავს?

— განყოფილების უფროსი ჰყავს! — უპასუხა მდივანმა და დარწმუნდა, რომ სტუმარი წასვლას არ აპირებდა, იგი საიმედოდ მოკალათდა ღრმა სავარძელში.

— ტყუილად ნუ დაელოდებით, მაინც არ მიგიღებთ, — დაუმატა მდივანმა ქალმა.



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

— რატომ? — სხვათაშორის იკითხა მოსულმა, ჩანდა, მდივნის ჭირვეულობის მიუხედავად, იგი მაინც დაიცდიდა.

— იმიტომ, რომ დღეს მიღება არა აქვს!

— მე მიმიღებს! — დაბეჯითებით თქვა სტუმარმა, — მე რაიონიდან ჩამოვედი. მოახსენეთ, რომ, ოთარ ახობაძე გელოდებათ-თქო!

— ვერაფერს ვერ მოვახსენებ, აკრძალული მაქვს! — უკანასკნელი ფანდი სცადა მდივანმა.

— ქალბატონო, მე ლევანის სკოლის ამხანაგი ვარ, თქვენ ხომ არ იცით, რაშია საქმე? თუ არ მოახსენებთ, ავდგები და შევალ. მე თქვენთან პირველად მოვედი. რაკი გეუბნებით მიმიღებს-მეთქი, ე. ი. ვიცი, რომ მიმიღებს! — არ იშლიდა სტუმარი.

— მოითმინეთ, რომ განთავისუფლდება, მოვახსენებ. რა გვარი ბრძანდებით?

— ახობაძე, ახობაძე ოთარი. კარგად მიცნობს. მე მისი სკოლის მეგობარი ვარ.

— არ გეწყინოთ, პატივცემულო, ყველა ასე ამბობს. მოხსენებით კი მოვახსენებ, მაგრამ დღეს უფროსს დატვირთული დღე აქვს და არ ვიცი, შეძლებს თუ არა თქვენს მიღებას! — ცოტა მოლბა მდივანი ქალი.

მოსულს არაფერი უთქვამს. ხელები მუხლებზე შემოიწყო და ფიქრს მიეცა...

ლევანის კაბინეტიდან მალე საქაღალდით ხელში ბრტყელთავა კაცი გამოვიდა. ზარის ხმაზე მდივანი უფროსს ეახლა, გამოსვლისას სტუმარს გაუღიმა:

— თუ არ შეწუხდება, ცოტა ხანს დამიცადოსო.

— გმადლობთ! — თავაზიანად მიუგო ახობაძემ და სავარძელში მოხერხებულად მოეწყო.

„ცოტა ხანი“ სამ საათს გაგრძელდა. ოთარ ახობაძემ ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ასწია თავი და მდივანს ჰკითხა:

— ჰყავს ვინმე?

— არა! — მხრები აიჩეჩა მდივანმა.

— თქვენ მოახსენეთ, მე რომ ველოდები?

— დიახ, ოთარ ახობაძე გელოდებათ-მეთქი!

— რა თქვა?

— ხომ გითხარით, ცოტა ხანს დამიცადოსო. იქნებ წერს რამეს, ან მოხსენებას კითხულობს.

სინამდვილეში ლევანი არაფერს არ აკეთებდა, როცა მდივანმა ოთარ ახობაძის გვარი უხსენა, ლევანს გაეღიმა და გადაწყვიტა დიდი ხნის უნახავ სკო-

ლის მეგობარს კარებში შეგებებოდა, მაგრამ სწრაფად გადაიფიქრა, ცოტახანს დამიცადოს, მოვიფიქრებ, როგორ შევხვდე და რა ველაპარაკო. ლევანს საქმე არ ჰქონდა. იგი მთელი სამი საათის განმავლობაში იჯდა და ოთარ ახობაძეზე ფიქრობდა: „ამ ოცდაათი წლის წინათ ერთად მიგვიყვანეს სკოლაში. გუშინდელივით მახსოვს, ოთარს ზამთრობით მწვანე ფრენჩი და შინ შეკერილი ყურებიანი ქუდი ეხურა. ჩემი ბავშვობიდან მას ისეთი რაღაცეების გახსენებაც კი შეუძლია, რის დავიწყებაც გულით მინდა, მაგრამ ვერ ვივიწყებ. ოთარმა ყველაფერი იცის. ალბათ კარგად ახსოვს და ვინ იცის, რას არ ჰყვება ჩემზე. რა ცუდია, ისეთი ხალხი რომ არსებობს, ყველაფერი რომ იცის შენი. ერთხელ მერვე კლასში სკოლის პირველობაზე ვიჭიდავე. საჭიდაო ჩოხის მაგივრად ბიჭებმა გრძელი, თეთრი მაისურა მიშოვნეს, რომელიც ბაყვებთან ქვევით „ბულავკით“ დამიმაგრეს. ჭიდაობისას „ბულავკა“ გაიხსნა და... მთელი დარბაზი შემზარავად ახარხარდა, მე კი დედიშობილა, სირცხვილის ოფლში ვიწურებოდი და მაისურს ხელით ვქაჩავდი ქვევით. ახლაც ალბათ ათასი ხეპრე უსმენს ოთარს და ხარხარებს. ოთარი იმასაც იხსენებს ალბათ, სიმღერის მასწავლებელმა გუნდიდან რომ გამომაგდო და მე გულმოსულად ვუთხარი: „იცით თუ არა, მე ჯგუფხელი ვარ და როგორ შეიძლება სმენა არ მქონდეს-მეთქი“! ოთარს ისიც არ დაავიწყდებოდა, გამოსაშვებ გამოცდებზე რუსულ წერაში კინაღამ რომ ჩავიჭერი, განათლების განყოფილების ინსტრუქტორმა „შპარგალკა“ რომ წამართვა და მერე დირექტორმა თავისი ხელით რომ შემომიტანა. ოთარმა ყველაფერი იცის და რა დასანანია, რომ მას, ალბათ, ისევ იმ დონეზე ვგონივარ. კაცმა რომ თქვას, რაში მჯობდა იგი? მართალია, კარგად სწავლობდა, მაგრამ ცოტა ზედმეტად თამამი, ზედმეტად ხუმარა და ხშირად წრეგადასულიც იყო. მე ყოველთვის მასზე უფრო სერიოზული ვიყავი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ შევხვდე? როგორ ველაპარაკო? ნახევრადოფიციალური ტონი მასთან არ ივარგებს, გავა და თავს მომჭრის. ძალიან თავისუფლად და ფამილარულად რომ შევხვდე, ესეც არ ივარგებს, მის თვალში მთლად უბრალო გამოვჩნდები. მე ამ შეხვედრის ყველაზე მეტად მეშინოდა. ახლა გავახსენდი? სად იყო აქამდე? კაცი მარტო მაშინ უნდა გვახსოვდეს, როცა დაგვჭირდება? ერთი დეპეშა მაინც გამოეგზავნა. დეპეშა რა იყო! ბავშვების დაბადება მაინც მოელოცნა. ჩემზე მეტი საქმე აქვს ვითომ? ნეტა რა სათხოვარი აქვს? ვაითუ ისეთი რამ მთხოვოს, რისი გაკეთებაც არ შემიძლია. ხომ მომჭრა თავი სკოლის მეგობართან. ოთარი, ალბათ, ვეღარ გამიგებს. მიჭირს, ძალიან მიჭირს, ჩემო ოთარ. შენ ვერასოდეს ვერ წარმოიდგენ, მე სულ სხვა ცხოვრება მაქვს. თქვენ ყველაფერი გეიოლებათ. შორიდან, როგორც ეტყობა, ყველაფერი მარტივად მოჩანს. ლევანს რა არ შეუძლიაო, ლევანს ყველაფერი გამოუვაო, აი, მოხვედი შენ, გაგიჭირდა და მოხვედი. ვაითუ ვერ დაგეხმარო. თუ რაიმე ადვილი მთხოვე, მაშინაც თავს გადავაქნევ და გეტყვი, ძნელი საქმეა, ჩემო ოთარ, მაგრამ ვეცდები-მეთქი. დახმარებით კი უსათუოდ დაგეხმარები. შენ თუ არ გაგიკეთებ, აბა, ვის გავუკეთებ?..

* * *

ოთარ ახობაძე მისაღებში იჯდა, ისიც ფიქრობდა:

„ლევანთან მისასვლელი პირი არ მქონდა, მაგრამ მაინც მოვედი. იქნებ სჯობდა, არ მოვსულიყავ? საქმემ მომიყვანა. ახლა ვგრძნობ რამდენს ვაშავებთ ერთმანეთის წინაშე. თურმე ყველაფერი სხვანაირად ყოფილა. მე ლევანი ყოველთვის მიყვარდა. ჩვენ ხომ მანამდე ვიყავით მეგობრები, სანამ ლევანს სახელით და მამის სახელით მიმართავდნენ?! მართალი იქნება, თუ იფიქრებს, გაუჭირდა და მაშინ გავახსენდით. როგორ შევხვდე? როგორ მივმართო? ძველებურად, ბიჭურად? ვაითუ ეწყინოს, სახელით და მამის სახელით? ენა არ მომიბრუნდება. ბავშვობის ძმაკაცს უცხოსავით მივმართო? თუმცა, რა დიდი ბედენაა, ბავშვობის ამხანაგი: ბავშვობაში სხვაც ბევრი მეგობარი ჰყავდა ლევანს. მართალია, ჩვენ სხვანაირად გვესმოდა ერთმანეთისა, მაგრამ ის მხოლოდ ბავშვობა იყო და მეტი არაფერი. მერე ჩვენ სხვადასხვა გზით წავედით. ახლა ლევანთან მეგობრობას ყველა ცდილობს. ლევანს ახლა თავისი წრე, ახალი მეგობრები ჰყავს. ვინ ვარ მე იმათთან? ერთი უბრალო სკოლის მასწავლებელი. ღმერთო, რაკი არ გამომეგება, ეტყობა, რაღაც აუცილებელი საქმე აქვს. ვაითუ შეცვლილი მეჩვენოს? ვაითუ, ყალბი სიამაყე შევნიშნო. ვაითუ არ მომეწონოს მისი ლაპარაკი? მე ლევანი ძალიან მიყვარს, და არ მინდა, ახალმა ლევანმა დამაკარგვინოს ძველი ლევანი, ჩემი სკოლის მეგობარი, მოკრძალებული და ალალი ბიჭი. სამი საათი გასულა. კიდევ კარგი რომ არ მეძახის. მე წავალ. ასე სჯობს“.

* * *

ლევან ზვიადაძემ სამი საათის შემდეგ მდივანს უხმო.

—მანდ ახობაძე იცდის და გამოუშვით!

— წავიდა, ბატონო, — მშვიდად უთხრა მდივანმა.

— როგორ თუ წავიდა?! არაფერი არ უთქვამს?

— არაფერი. გადაეცით რომ წავედით და წავიდა.

# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ტოლსტოი ამბობდა: „დიადი რამ რომ შექმნა, სულის მთელი ძალები ერთი წერტილისკენ უნდა მიმართო“; გალაკტიონისათვის ეს წერტილი პოეზია იყო. იგი დიდად აფასებდა გ. ქუჩიშვილთან და შ. კაშმაძესთან მეგობრობას, მაგრამ თავის ფიქრებსა თუ ტკივილებს მხოლოდ მუზას უმხელდა.

ხალხი მწერლისაგან უპირველეს ყოვლისა, მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებს მოითხოვს, ხოლო ის, ვინც უპირატესად საკუთარი საქმეების მოგვარებით არის გატაცებული და არა საზოგადოების ინტერესებით, ბღალავს საკუთარ მწერლურ და მთელი მწერლობის ღირსებასაც. გალაკტიონი ყოველთვის უპასუხებდა ადამიანთა მაღალ სულიერ მოთხოვნილებებს, პირად ამბებზე კი ნაკლებად ზრუნავდა. ამიტომაც დაგვიტოვა გახწყობილებათა ხაირსახეობაში გამოხატული უხვი და მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელშიც ნათლად ჩანს პოეტის დიდი ტალანტი და სამყაროს ხილვის მაგიური ძალა, რაც დამოკიდებულია პოეტის შთამაგონებელ თემატიკაზე.

რა მოგვცა გალაკტიონმა ახალი თავის წინამორბედებთან შედარებით?

მან გაარღვია ქართული ლექსის ტრადიციული მეტრის ჩარჩოები და მხატვრულ სიტყვას ახალი ფერი და სურნელება შესძინა. ეს შეიძლება თამამად ითქვას თუნდაც მისი პირველი ლექსის („პირველი მაისი“) მაგალითზე, რომლის პოეტურ მეტრს ჩვენი კლასიკური პოეზია მანამდე არ იცნობდა.

მეამაყება, რომ ასეთი დიდი პოეტის გვერდით ვცხოვრობდი; ხშირად შევხვედრივარ მას შ. კაშმაძისა და ე. ზედგინიძის ოჯახში. ორჯერ ჩემი სტუმარიც იყო სოფელ დიღომში, სადაც ერთხანს საშუალო სკოლის დირექტორად ვმუშაობდი.

გალაკტიონი საოცრად სიტყვაძუნწი კაცი იყო. ძალზე ცოტას ლაპარაკობდა, სამაგიეროდ, ყურადღებით გისმენდათ. ეს მისი ხასიათის მუდმივი თვისება გახლდათ.

უაღრესად მგრძნობიარე ადამიანი იყო, წრფელი და პატიოსანი გული ჰქონდა, რაც მისი ლექსებიდანაც გამოსჭვივის; მაგრამ აქ მინდა გავიხსენო დამოკიდებულება, რომელიც მას ელიზბარ ზედგინიძის ბავშვებთან ჰქონდა. შოვიდოდა თუ არა პატარებთან, მაშინვე გამონახავდა საერთო ენას, ეალერსებოდა, ეფერებოდა და ყველა სურვილს უსრულებდა ისედაც განებივრებულ ბალღებს. ელიზბარის უფროს ქალიშვილს ცისმარას, რომელიც მაშინ ცამეტი წლის იყო, მშვენიერი ლექსიც კი უძღვნა. ვაკვირდებოდი გალაკტიონს და ვგრძნობდი, რომ მასში ნაზი გრძნობა ღრმად ბატონობდა.

გალაკტიონმა შესანიშნავად იცოდა თავისი პოეზიის ღირსება, ამიტომაც იყო ასე თავმდაბალი და მოკრძალებული. მეგობრებთანაც კი საოცრად მორიდებული გახლდათ. მასთან სიახლოვეს არავის აძალებდა. საერთოდ, შეუძლებელია ყველა მისი ადამიანური ღირსების ჩამოთვლა, ერთს კი ვიტყვი: ისტორიას ნაკლებად აინტერესებს დიდი მწერლის ახირება, არანიშანდობლივი ყოფითი დეტალები. მთავარია ნაწარმოები, მასში უნდა ჩანდეს ავტორის ბუნება და მოქალაქეობრივი სახე, და არა გაუბრალოებულ, წვრილმან შემთხვევებზე, უმნიშვნელო ამბებზე აგებული „მოგონებები“.

გალაკტიონმა როგორც გონიერმა ადამიანმა, ჩინებულად იცოდა, რომ შემოქმედი მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს ხალხის სიყვარულს, როცა იგი ფართო ინტერესებით ცხოვრობს, პოეტურ აზრს და მოღვაწეობას საკაცობრიო ამოცანებს უქვემდებარებს და წარმოდგენას აღრმავებს სამყაროზე. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო გალაკტიონის მარად უჭკნობი პოეზია.

**ვლადიმერ ჯიბუტი**

# უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან



## „ოქროს ბიჭი" მოედანს ტოვებს

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რივერამ საკუთარი თავი მილანის კლუბის პრეზიდენტად წარადგინა. „რა არის ამაში არაბუნებრივი? ფეხბურთსაც ვითამაშებ და პრეზიდენტიც ვიქნები. ეს გუნდისთვისაც კარგი იქნება", — განაცხადა მან.

ალბინო ბუტიკიმ, რომელიც მილანის კლუბის უცვლელი პრეზიდენტია, შეიტყო რივერას გეგმები და პიანელის შესთავაზა, რივერას კაპიტან სალაში გაგიცვლიო.

— რას ამბობ, რივერა ვიყიდო? ანტიკვარი კი არა ვარ! — განაცხადა პიანელიმ.

ეს რომ გაიგო, რივერა, პროტესტის ნიშნად, საწვრთნელ მოედანზე არ გამოცხადდა და თავის კოშკ-სიმაგრეში — გოცოში გაიქცა. მან განაცხადა: „ხვალიდან ვტოვებ ფეხბურთს, ვერავითარი ძალა ვერ მაიძულებს ჩავიცვა სხვა მაისური და ჩემს გუნდს ვუღალატო".

რივერას განცხადებამ ძლიერ ააღელვა სპორტული სამყარო. იტალიური პრესა აღნიშნავს: „ამ შემთხვევაში რივერა ვაჟკაცურად მოიქცა. იტალიურმა ფეხბურთმა არ უნდა დაკარგოს ისეთი მაღალი კლასის მოთამაშე, როგორიც რივერაა, რომლის ბიოგრაფია ასეთია: დაიბადა 1943 წლის 18 აგვისტოს, წელს მას 32 წელი შეუსრულდა; მისი დებიუტი 1959 წლის 2 ივნისს შედგა. ალექსანდრიის გუნდში იგი „ნაცრისფერი მაისურით" თამაშობდა, შემდეგ მილანში გადავიდა და ჩემპიონატის 34 თამაშიდან ოცდაათ თამაშში მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ იგი იტალიის ნაკრებში ჩარიცხეს. იგი ნაკრების კერპი ხდება. მის სპორტულ ბიოგრაფიაში აღსანიშნავია 1967-68 წლის სეზონი, როდესაც მილანმა მეორედ მოიპოვა ჩემპიონობა. მომდევნო წელს კი ჰოლანდიელების წინააღმდეგ თამაშში გამარჯვებულებმა საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვეს, რივერას სახელი აქაც ხმამაღლა გაისმა და იგი ჯილდოდ იღებს „ოქროს ბურთს" (ამ ჯილდოს მფლობელნი სხვადასხვა დროს იყვნენ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები: დი სტეფანო, სუარესი, იაშინი, კარლეტონი, კრუიფი და სხვა). რივერამ ჩემპიონატში 443-ჯერ ითამაშა. აქედან — 417 მილანში, 26—ალექსანდრიაში; გაიტანა 116 გოლი. როგორც ხედავთ შედეგი ბრწყინვალეა".

ამას წინათ „სპორტულმა შურისმაძიებლებმა" — რივერას თაყვანისმცემლებმა ქუჩაში სროლა აუტეხეს ბუტიკის. ანტიბუტიკიანელები ცდილობენ რივერას გადაათქმევინონ ნაჩქარევი გადაწყვეტილება — „ვტოვებ ფეხბურთს"; არ უნდათ დაიჯერონ, რომ მოედანზე ვეღარ იხილავენ იტალიური ფეხბურთის „ოქროს ბიჭს".

## მღერის... ომარ შარიფი

ცნობილი კინოვარსკვლავი ომარ შარიფი ინგლისური კოლეჯის დამთავრების შემდეგ ეგვიპტეში ჩავიდა და მისი კინოკარიერაც აქედან დაიწყო. იგი ოცდახუთზე მეტ კინოფილმშია გადაღებული. განსაკუთრებული პოპულარობა მას მოუტანა ფილმებმა: „ლაურენსია არაბეთიდან" და „მხიარული ქალბატონი". ალბათ, ჩვენს მაყურებელს ახსოვს ფილმი „სასაცილო გოგონა", სადაც იგი ბარბარა სტრეიზანდთან ერთად თამაშობს. ომარ შარიფი ძალიან მდიდარია, ცხოვრობს პარიზში, აქვს საკუთარი საჯინიბო და ცხენების საწვრთნელი ირლანდიაში, ჰყავს 17 წლის ვაჟი ტარეკი.

ერთხანს ომარ შარიფი ძლიერ იყო გატაცებული ბრიჯით და ამ აზარტული თამაშის გამო კინაღამ მიატოვა კინო.

ამ ცოტა ხნის წინათ ომარ შარიფი იტალიას ეწვია, როგორც... ესტრადის მომღერალი და მოხიბლა იტალიელები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა სიმღერას „ხუთი ყვავილი ჯულიანასთვის", რომლის ავტორი თვითონაა.

კორესპონდენტთან ინტერვიუში ომარ შარიფმა განაცხადა: „შეიძლება ითქვას, რომ სრულიად შემთხვევით გავხდი ესტრადის მომღერალი: ერთ დღის ბრიჯის თამაშის დროს, ჩემმა პარტნიორმა შალავიჩინიმ სანაძლეო შემომთავაზა: თუ პარტიის დამთავრებამდე ვინმე მომხიბლავი ქალი შემოვიდოდა, ექსპრომტად უნდა შემექმნა სიმღერა (ქალი ორივეს უნდა მოგვწონებოდა), ამ პარტიას იგი წაგებულად ჩათვლიდა.

მართლაც, პარტიის დამთავრებამდე შემოვიდა მომხიბლავი ქალიშვილი ჯულიანა, რომელსაც ხელში ყვავილები ეჭირა და მე, პირობის თანახმად, დავწერე სიმღერა „ხუთი ყვავილი ჯულიანასათვის".

როცა ამ სიმღერის შესრულება მევე შემომთავაზეს, თავპატიჟი არ გამომიდვია და სიხარულით დავთანხმდი — ასე გავხდი ესტრადის მომღერალი".

ომარ შარიფმა ამ შემთხვევის შემდეგ ბევრი მუსიკალური ფირმიდან მიიღო მიწვევა. მისი სიმღერები ფირზე ჩაწერეს.




## ნარევი



ამას წინათ 33 წლის ინგლისელმა პიტერ დაუდსველმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ლუდის სწრაფად სმაში: ყოველი ლიტრი ლუდი მან საშუალოდ 3,1 წამში შესვა.

* * *

ავტოავარიების ნახევარი შვეიცარიაში, თურმე, სიმთვრალის შედეგად ხდება.

ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ შვეიცარიაში მცხოვრები 6 მილიონი ადამიანიდან 200 ათასი კაცი გამოუსწორებელი ალკოჰოლიკია.





* * *

რიო-დე-ჟანეიროს (ბრაზილია) ერთ-ერთ რესტორანში მომხმარებლებს მომსახურეობას უწევენ... მაიმუნები.

რესტორანი მუდამ ხალხით არის სავსე. მათ აქ არა მარტო ოთხფეხა ოფიციანტების ნახვის სურვილი იზიდავთ, არამედ — მომსახურეობის სისწრაფეც. მაიმუნები გასაოცარი სიჩქარით ასრულებენ მათზე დაკისრებულ დავალებებს.

* * *

საყოველთაოდ ცნობილია თუ მსოფლიოში რომელი ქალაქია ყველაზე დიდი, ყველაზე პატარა ქალაქი კი დღემდე უცნობი იყო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლახან გამოვიდა ატლასი, რომელშიც აღნუსხულია მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალაქი ალვინი (სამხრეთ კაროლინას შტატი, აშშ). ამ ქალაქში, თურმე, მხოლოდ 10 ადამიანი ცხოვრობს.



ელექტრონული ბიბლიოთეკა



ჯინა ლოლობრიჯიდა — ჟურნალისტი

ცნობილმა კინოვარსკვლავმა ჯინა ლოლობრიჯიდამ ჟურნალისტობა დაიწყო. განსაკუთრებით იტაცებს ფოტოხელოვნება. ამას წინათ მან გამოსცა ორასგვერდიანი ფოტოალბომი, რომელიც მიუხედავად დიდი ტირაჟისა, სწრაფად გაიყიდა. მის ჩანთაში ხშირად ნახავთ სხვადასხვა მარკის ფოტოაპარატებსა და საინტერესო ფოტომასალას, რომელზეც ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენა ან ცნობილი ისტორიული პიროვნებაა აღბეჭდილი.

ამას წინათ იგი ეწვია კუბას — ფიდელ კასტროს სტუმარი გახლდათ. იგი ამჟამად 49 წლისაა და ამ ასაკშიც ისევე მომხიბლავია, როგორიც კინოეკრანიდან გვახსოვს. მან ინტერვიუ ჩამოართვა ფიდელ კასტროს. კასტრომ მსახიობ ქალს ოქროს საათი უსახსოვრა. ჯინა ლოლობრიჯიდას ვაჟი მილკო კი ჰავანაში დაიტოვა სტუმრად.

ფ ო ტ ო ზ ე: ჯინა ლოლობრიჯიდა — ფოტორეპორტიორი.

თარგმნა ზაირა სტურუამ

მხატვარი ჯემალ ლოლუა



— გვალვასა და სეტყვას გადავურჩით, ახლა კი ეჭვი მეპარება...



— რა წიგნი გნებავთ?
— საჩივრის!

— მამიკო, რა არის მატრიარქატი?



# სხარტულა

☐ ზარმაცმა თქვა: სიკვდილამდე სწავლას, სწავლამდე სიკვდილი მირჩევნიაო.

☐ კარგი მეზობლისაგან ცეცხლის სესხებაც შეიძლება.

☐ როცა კარგ მეზობელთან ლხინია, დაპატიჟებულიც რომ არ იყო, გულში მაინც ღიღინებ.

☐ სასადილოში ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა, მაგრამ სახანძრო რაზმს მაინც არ იძახებდნენ.

☐ ანონიმისტი იმდენად გადაიღალა, თავისივე დაწერილის წაკითხვა აღარ შეეძლო.

☐ პირუტყვი ცარიელ ბაგაზე იყო დაყენებული, ფერმის გამგე სუქდებოდა.

☐ ბუღალტერს კოლმეურნეობაში გასავალი ჰქონდა, ოჯახში კი — შემოსავალი.

☐ წყალში ჩავარდნილი ზარმაცი ხავსს ეჭიდებოდა, მშრალზე დარჩენილს — ხავსი.

☐ უვარგის კაცს ნაპირზეც რომ იყოს, მაინც წყალწაღებული ჰქვია.

☐ ხორცმეტი მსუქანიც შეიძლება იყოს და გამხდარიც.

გ. ცინცაძე

არნოლდ მოსტოვიჩი

# არც ასე ვარგა და არც ისე...

— არ იცი, სად მუშაობს ფილიპი? — ჰკითხა ამხანაგს ამხანაგმა.

— ნუ მკითხავ, ნუ, უნამუსოა!

— რას მელაპარაკები, მართლა? რა ქნა ასეთი?

— რა? ამ ორი წლის წინათ ჩემგან 200 ზლოტი ისესხა და ჯერაც არ დაუბრუნებია. დამპირდა უსირცხვილო, რომ ერთ კვირაში დამიბრუნებდა.

— კი მაგრამ, რამდენჯერ შეგხვდა მას შემდეგ, შეგეძლო შეგეხსენებია.

— მე შევახსენო? ნაძირალაა და მეტი არაფერი!

— ნაძირალა? ეს უკვე გადაჭარბებულია... უბრალოდ დაავიწყდა...

— არაფერიც არ დაავიწყდა. გაიგო, რომ სხვებიც ასე იქცევიან და არ უნდა მოცემა. მე უკვე ყველას ვუთხარი მისი კაიკაცობის შესახებ.

— ეს კი არ გიქნია კარგი.

— აბა, ის არის კარგი, რომ არ დაუბრუნო ვალი ადამიანს, რომელიც გენდო?!

ამ ლაპარაკის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე. იგივე ამხანაგები შეხვდნენ ერთმანეთს ვარშავის ერთ-ერთ კაფეში.

— შეხედე! იქ ზის ის არამზადა და ვითომ ვერ გვხედავს!

ამ დროს იმ კაცმა, რომელსაც ერთი წუთის წინ „არამზადა“ უწოდეს, მათკენ გამოიხედა, მეგობრულად გაუღიმა და წამოდგა.

— უსინდისო, რა პირი აქვს ჩემთან. ვითომც არაფერი!

მისალმების შემდეგ ფილიპმა მეგობრის გვერდით დაიკავა ადგილი, შემდეგ კი ჯიბიდან საფულე ამოიღო.

— შერცხვენილი ვარ შენთან, აქამდე რომ ვერ დაგიბრუნე 200 ზლოტი... მაგრამ რატომღაც ვერ მოვახერხე... მიხარია, რომ შეგხვდი, უნდა მოგიბოდიშო და მადლობა გადაგიხადო... გთხოვ, დაითვალო!

— როგორ გეკადრება, არც ღირს ასეთ წვრილმანზე ლაპარაკი, — წაილუღლუღა მოვალემ.

— დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ასე დაგიგვიანე... იმედი მაქვს, ნაწყენი არ დამრჩები.

— მე? როგორ გეკადრება! უმჯობესია მითხრა რა არის ახალი?

როცა ფილიპი წავიდა, მისმა ყოფილმა მოვალემ ხელი გაცხარებით დაარტყა მარმარილოს მაგიდას.

— ღორი! — თქვა აღშფოთებით, — მაშინ დამიბრუნა, როცა უკვე დავამუშავე სათანადოდ და დავრწმუნდი რა კაციცაა.

— არა, ამას კი მართლა აღარ ველოდი. თუ დამიჯერებ, სჯობდა, საერთოდ ეს ფული არ დაებრუნებინა.

პოლონურიდან თარგმნა ინგა კაკაბაძემ

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ტუდორ არგეზის ლექსები

ტუდორ არგეზი (1880-1967 წწ) სამართლიანად ითვლება რუმინეთის ერთ-ერთ უდიდეს პოეტად. მისი ლექსები ევროპის თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი.

ვაქვეყნებთ პოეტის რამდენიმე ლექსს, რომელიც თარგმნა **გივი ალხაზიშვილმა.**

## უმთვარო ღამით

მწუხრმა მოიცვა დედამიწა უმთვარო ღამით,
მრავალს ეგონა მოახლოვდა განკითხვის ჟამი.
სასახლეთა და სიმაგრეთა ბჭენი მშიშარა,
ღამის წყვდიადში ჩამოინგრა, ჩამოიშალა.
მოქეიფეებს გაეყინათ ხახაში ლუკმა,
ულრანი ღამე გაანათა ღვთიურმა შუქმა
და გაიშხლართნენ იატაკზე როგორც მონები —
უფლისწულები, დიდებულნი, ქალბატონები.
მძიმე ჰაერში თალხისფერი გალღვა თუ არა,
ვეება ტალღამ დარბაზს ზათქით გადაუარა.
ახსნეს ურდული და დაიძრა ხალხი მძვინვარე,
ღია ჭიშკარში სასახლისკენ როგორც მდინარე.
ამსხვრევენ ღმერთის ქანდაკებებს, ხალხი არ ცხრება.
ხალხი იმარჯვებს,
მარმარილოს ღმერთი მარცხდება.
ნამთვრალევ სახეს მოიფშვნიტავს უცებ ტირანი.
მოჩვენებაა — გაიფიქრებს ბრბოსკენ მზირალი.
ეს ვინ გაბედა?!
ვინ დამიფრთხო ჟამი მოლხენის?!
დიან დროშათა იალქნებით მეამბოხენი.
მოეჩვენება დამფრთხალ მეფეს, ხმაურით შეშლილს,
მოდის დევკაცი სიბნელეში ჩირაღდნით ხელში.
ჰეი, მცველებო! სიზმარია ნუთუ ყოველი,
თუ მართლა მოდის ხალხი — მეფის უარმყოფელი.
დალეწეს კარი,
ხალხის ტალღა, ტალღას მოება
და გადათელა დარბაზების ბრმა მყუდროება.
და ცხრაკლიტულში
მოჩანს როგორც ლანდი სიკვდილის —
დამფრთხალი მეფე,
მოცახცახე და ფერმიხდილი.
რა გადასწონის?!
(თრთის სასწორი, შედგნენ მდევრები),
ტირანის სისხლი,
თუ ტანჯული ხალხის ცრემლები.

## დაბრუნება

ცოტაღა დარჩა შესაცნობი, გადასალახი,
განვლილი გზები ერთდებიან და მზერას აწვიმს,
ბნელი ქუჩები, ბილიკები, ტყენი, სანახი,
როგორც ბორბალი ტრიალებს თვალწინ.
რას გვახსენებდა სურნელი მსგავსი?
რამ ააყვავა ყვავილები გარდასულ დროის?
მოდის საღამო და ზეცის გარსი
გამჭვირვალეა, მაგრამ მოაქვს ბურუსი გლოვის.
ო, რა მოგველის? უდაბნოთა სიმშვიდე ვრცელი?
ნუთუ ესაა იმ გამოვლილ დღეთა მიზანი?!
ზე გაშლილია ულურჯესი, უვრცესი ველი,
ირგვლივ სიმწვანე — ახდენილი ყრმობის სიზმარი.
აი, სასტუმრო განზე მდგარი,
გვეძახის თითქოს,
ისმის სიმღერა,
იქ ღვინოა, მშვიდი საწოლი...
ლივლივა თმებში თუ ჩავყვინთე
შეგუბულ სითბოს,
გამოსხივებულს, ვინ გაზომავს,
ვინღა აწონის.
ო, თუმცა დრო-ჟამს სრულიადაც არ უყვარს მოცდა,
მდუმარებაში დავასრულებთ ცხოვრების გზა-კვალს,
ვით ჯადოსნური საწამლავი —
მხურვალე კოცნა,
რომ დავუბრუნოთ კაცთა მიწას მშობლიურ აკვანს.

# ბუნების კარი

## „ბოგვერაძის კუნძული"

**თუ ყოფილხართ ფოთში, აუცილებლად ესტუმრებოდით „ბოგვერაძის კუნძულს". ეს ხომ ერთ-ერთი ულამაზესი დასასვენებელი ადგილია ქალაქგარეთ, პალიასტომის დიდებული ტბის მიდამოებში.**

**შემორჩენილია ლეგენდა: იქ, სადაც უხვწყლიანი რიონი ზღვას ერთვის, ძველმა ელინებმა, რომლებიც აქ „ოქროს საწმისის" მოსატაცებლად მოვიდნენ, თურმე პირველი არხები გაიყვანეს. შესაძლოა, ეს კუნძულიც მაშინ გამოეყო ხმელეთს, ან უბრალოდ რიონმა შემოიტანა ნოყიერი შლამი და მეჩეჩი ამოიზარდა (ცნობილია, რომ რიონს ყოველწლიურად ახეულ ათასობით კუბმეტრი მიწა შეაქვს შავ ზღვაში).**

**კუნძული დიდი არ არის. იგი წარმოადგენს ზღვაში ამოზრდილ ხმელეთს, რომლის ფართობი ერთ ჰექტარს ოდნავ აღემატება. მიწა შავი და ნოყიერია, მდიდარია ჰუმუსით. ანეთი მარაგის ტორფის საბადოს იშვიათად შეხვდებით სადმე. აქაური ტორფი ხარისხითაც საუკეთესოა.**

**„ბოგვერაძის კუნძულს" მეორე სახელწოდებაც აქვს — „კოლხეთის მწვანე მუზეუმი", რაც ზუსტად გამოხატავს მის შინაარსს. აქ სრულყოფილად არის წარმოდგენილი სუბტროპიკული ფლორა: ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიფრუტი, ფეიჰოა, მუშმალა, ავოკადო, ბანანი, შაქრის ხე, ბამბუკი, ჩაი, ტუნგო, ევკალიპტი, კეთილშობილი დაფნა, ვაზი, ლეღვი და სხვა ხეხილი,ნაირფერადი ყვავილი და მრავალნაირი ბუჩქი... ამ ეგზოტიკურმა მცენარეულობამ მწვანედ მოხატა ზღვის ზვირთებში მოქცეული მიწის ფართობი.**

**ეს კუნძული წინათ ასეთი როდი იყო. თვალსაწიერზე იდგა დაგუბებული, დამყაყებული წყალი. ისლით, ლაქაშებითა და ჰილით დაფარულ მიწის ნაგლეჯზე ფეხის შედგმას ვერავინ ბედავდა, ქვეწარმავალი დაპატრონებოდა მას. ორმოციოდე წლის წინათ ფოთში ჩამოსახლდა იმერელი გლეხი ილია ბოგვერაძე და მტკიცედ დამკვიდრდა ამ ფართობზე. ჭაობის მცენარეები გაკაფა, მიწა დაამუშავა. ყოველწლიურად რგავდა ხეხილს. დიდი ჯაფის შედეგად ზღვაში მიგდებულ ჭაობზე ბაღისახწაული გააშენა.**

**თვალისჩინივით უვლიდნენ ბაღს ილია ბოგვერაძე და მისი ოჯახის წევრები.**

**ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან ამაგდარი მებაღე. ბუნების ნამდვილმა გარდამქმნელმა ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა. სიცოცხლეში ერთი ნატვრა ჰქონდა: ნეტავი ჩემი სიკვდილის შემდეგ ბაღს წესიერი პატრონი გამოუჩნდეს და იგი არ განადგურდესო. ეს ნატვრაც შეუსრულდა. ბაღი შარშან ლანჩხუთის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობას გადასცეს. ჯერჯერობით ვერ დაემდურებიან ახალ პატრონს. მცენარეებს მოვლა არ აკლია, მიწა კვლავ რომ არ დაჭაობდეს, გაიყვანეს სადრენაჟო არხები, შეიტანეს სასუქები, შხამ-ქიმიკატებით ებრძვიან მავნებელ-დაავადებებს. საამოდ შრიალებენ მწვანე მეგობრები და ამ შრიალში თითქოს ისმის მისი შემქმნელისა და მზრუნველის ჩურჩული, თითქოს იგი ძველებურად ესათუთება თითოეულ ხესა და ბუჩქს.**

**ბოგვერაძის ბაღისათვის უმჯობესი იქნებოდა ფოთის საქალაქო საბჭოს მოეკიდა ხელი. მას აქვს კეთილმოწყობისა და გამწვანების სამმართველო, რომელიც უპატრონებდა კოლხეთის მწვანე მუზეუმს.**

**ჭაობი თანდათანობით უკან იხევს. კოლხეთი სულ მალე გადაიქცევა ნარინჯ-თურინჯის აყვავებულ მხარედ. „ბოგვერაძის კუნძული" მუდამ დარჩება მის უმშვენიერეს ბაღნარად.**

# სიახლენი წარმოებაში

რესპუბლიკურმა საუწყებათშორისო კომისიამ სერიული წარმოების რეკომენდაცია მისცა მოწყობილობა „პრიმეტი-1"-ს, რომელიც ნამზადისა და ცხელი ნაგლინის სიგრძეს ზომავს. იგი წარმოებით გამოსცადეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის „1000" დგანზე. მოწყობილობა შექმნა ტაქომეტრიის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს წამყვანმა კონსტრუქტორმა ალექსანდრე სუმბათაშვილმა.

მოწყობილობა დგანის მართვის სისტემაში ერთვება მილების ნამზადის სიგრძის ავტომატური გაზომვისათვის ნაგლინის ტრანსპორტირების პროცესში. გაზომვა ხორციელდება გადამწოდების დახმარებით. ამ დროს იზრდება დგანების მწარმოებლობა და მცირდება დანაკარგები. მას შეუძლია გაზომოს ოთხიდან თხუთმეტ მეტრამდე სიგრძის ნამზადი.

იგი წელიწადში სულ ცოტა 450 ათას მანეთს დაზოგავს.

●

მშენებარე სამგზავრო-საბაგირო გზაზე, რომელიც სიღნაღსა და წნორს დააკავშირებს, დაიწყო მოწყობილობის დამონტაჟება, მისი სიგრძე 4,5 კილომეტრია. საბაგირო გზების მშენებლობის პრაქტიკაში აქ პირველად გამოიყენებენ სპეციალური საპარაშუტო მოწყობილობის ახალ კონსტრუქციას, რომელიც ვაგონს საშუალებას მისცემს შეუფერხებლად გადავიდეს ბაგირიდან რელსზე და რელსიდან ბაგირზე. იგი გამორიცხავს შუალედურ სადგურებს; ამიტომ მიმოსვლა პირდაპირი იქნება.

მოწყობილობის დამონტაჟება წარმოებს აგრეთვე ყაზბეგ-სამების მთის საჰაერო-საბაგირო გზაზე, რომლის სიგრძე დაახლოებით ორი კილომეტრია. ეს ტურისტებისა და ალპინისტებისათვის კარგი საჩუქარი იქნება; ვაგონები 12-ადგილიანია.

საქართველოში ახლა 21 სამგზავრო საჰაერო-საბაგირო ტრასა შენდება. აქედან შვიდი ჭიათურაში.

შენდება კიდევ ერთი გრძელი საბაგირო გზა — დაბა ჩორდი — სოფელი ირილესორა, სადაც ბარიტს იღებენ. ამ გზის სიგრძე 3,4 კილომეტრია.

აპროექტებენ სამგზავრო გზას აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისათვის. იგი რამდენიმე წუთში კომფორტული ვაგონებით ასტროფიზიკოსებს ყანობილის მთაზე აიყვანს.

●

რეკომენდებულია სერიული წარმოებისათვის მეფრინველეობის გალია-ბატარეების ტემპერატურის რეჟიმის მრავალდარგობრივი კონტროლისა და პროგრამული რეგულირების დანადგარი.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს ინტენსიური მეფრინველეობისათვის მეტად საჭირო გახდა მოზარდეულის გამოზრდის ოპტიმალური პირობების კონტროლისა და რეგულირების საშუალებანი. ახალი დანადგარი, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად, მეტად მოხერხებულია. იგი არ მოითხოვს მომსახურე პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას, დანადგარში გამოყენებულია თერმორეზისტორები და ელექტრომექანიკური რელსები, რაც უზრუნველყოფს გალია-ბატარეების ტემპერატურის რეჟიმის რეგულირებას.

ერთი ასეთი დანადგარი, რომელიც გორელმა ხელსაწყოთმშენებლებმა შექმნეს, წელიწადში ათიათასობით მანეთის ეკონომიას იძლევა.

# საუკუნის წინათ დროებაში

„დროება“ 1875 წ. ოქტომბერი

პარიზის ბულვარზე ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს, რომელიც თავისი გაიძვერობით პარიზში განთქმული იყო, — ამბობენ, რომ თქვენ უფ. ბ-ნს უამხანაგდებით და რაღაცა საქმე უნდა დაიწყოთ. მართალია ეს ამბავი?

— დიახ, მართალია.

— რით უნდა დაეხმაროთ მერე თქვენ?

— მე ჩემს გამოცდილებას მოვახმარ ამ საქმეს და ის კი თავის ფულს შემოიტანს. ჩვენი ამხანაგობა ხუთს წელიწადს გაგრძელდება; ხუთი წლის შემდეგ, უფ. ბ. ჩემს გამოცდილებას შეიძენს და მე კი იმის ფულებსა.

* * *

ამას წინათ „სასოფლო გაზეთი“ წერდა, რომ სურამთან ვეზირიშვილების მამული ვიღაცა უცხო ქვეყნის კაცებს აუღიათ ბანგის დასათესად და მოსაყვანათო. ყოველ განათლებულ ქვეყანაში ბანგი საწამლავათ მიაჩნიათ და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენში შემოვიდეს. ადამიანი უდროო დროდ საფლავში ჩაჰყავს. ბანგს თამბაქოსავით სწევენ, კაცს ათრობს და ისე ხდის როგორც კაი მთვრალი კაცი. ბანგნაჩვევი კაცი უდროოდ სუსტდება, ღონე ერთმევა და არაფრის საქმის გაკეთება აღარ შეუძლია და ვეღარც გადაეჩვევა.

* * *

ბაირონი მუდამ ღამე მუშაობდა და თუ მშიერი არ იყო, ისე კი ვერაფერს ვერ დაწერდა. წერის დროს მხოლოდ სიგარას წევდა და თამბაქოს ღეჭავდა კბილებით. ღვინოსა და ხორცს თითქმის სრულიად არ იკარებდა.

* * *

შილერიც მხოლოდ ღამე მუშაობდა და ამ დროს ყავასა და შამპანის ღვინოს სვამდა. ამას გარდა შილერზე ამბობენ, რომ ყველაზე უფრო მარჯვედ მხოლოდ მაშინ მუშაობდა, როცა დამპალი ვაშლის სუნი არ მოაკლდებოდაო და ამის გამო მაგიდაზე მუდამ დამპალი ვაშლები ეწყო.

* * *

შელლიმ წერის დროს მუდამ პურის ღეჭვა იცოდა.

* * *

ბალზაკი ნაშუადღევის ექვს საათზე ცოტა ხილს შეჭამდა, წყალს დალევდა და შვიდ საათზე დაიძინებდა. სწორედ შუაღამეზე გამოიღვიძებდა, მიუჯდებოდა მაგიდას და მეორე დღის შუადღემდე თითქმის შეუსვენებლივ წერდა.

* * *

გამოცდილი მამისაგან შვილის დარიგება:

— ყველაზე პირველად მე შენთვის ჩემო შვილო იმას ვინატრი, რომ პირველადვე წააგო, როგორც კი ქაღალდს ითამაშებ. მეორედ ვინატრი იმას, რომ ამხანაგმა მოგატყუილოს და შენგან ნასესხები ფული არ დაგიბრუნოს.

# ფრანგული იუმორი

ექიმთან ტელეფონმა დარეკა.

— ექიმო, დაგვეხმარეთ, ჩემმა ბიჭუნამ საწერი კალამი გადაყლაპა!

— დაწყნარდით, — დაამშვიდა ექიმმა შეშინებული მშობელი, — მალე მოვალ!

— თქვენს მოსვლამდე რა ვქნა, ექიმო?

— ფანქრით წერეთ, ბატონო!

* * *

მოხუცი გლეხი ავად გახდა, დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა ექიმისათვის მიემართა:

— ექიმო, არ ვიცი რა მემართება, უკვე რამდენიმე დღეა მუცელი მეწვის.

— გასაგებია. გაიხადეთ და გაგსინჯავთ!

— რატომ, ექიმო, განა ჩემი არ გჯერათ?

* * *

ერთმა ქალმა იყიდა თუ არა ავაზის მშვენიერი ქურქი, გამყიდველს ჰკითხა:

— ბატონო, როგორი ამინდი ავნებს ქურქს?

— მას არავითარი ამინდი არ დააზიანებს, ქალბატონო!

— არც წვიმა?

— ქალბატონო, გინახავთ თქვენ წვიმაში ქოლგით მოსიარულე ავაზა?

* * *

ერთ გლეხს ვირი შუა გზაში გაუჯიუტდა და ადგილიდან ვეღარ დაძრა. ამ დროს გზაზე მიმავალმა ახალგაზრდამ დამცინავად მიმართა მას:

— ეი, ძია კაცო, რას დააფასებ მაგ ვირს?

— სანამ ამ ვირის ყიდვას გადაწყვეტდე, მშობლებს ჰკითხე, შეძლებენ თუ არა ისინი ორი ვირის რჩენას? — მიუგო გლეხმა.

* * *

— პიერ, ძვირფასო, დღეს 25 წელი შესრულდა რაც შევუღლდით, რითი აღვნიშნოთ?!

— წუთიერი დუმილით, საყვარელო! — უპასუხა ქმარმა.

* * *

მანქანამ გზა წითელ შუქნიშანზე გადაჭრა. პოლიციელმა იგი იმწამსვე შეაჩერა:

— წითელი შუქი ვერ შეამჩნიეთ, მუსიე?

— შუქი კი შევამჩნიე, ბატონო პოლიციელო, თქვენ კი ვერა!— უპასუხა მძღოლმა.

* * *

ჟანი მივლინებაში იყო. საღამოს მან ათჯერ მაინც სცადა დაერეკა მეუღლისათვის. ტელეფონი სულ დაკავებული იყო. ბოლოს იგი ფოსტაში წავიდა და ასეთი შინაარსის დეპეშა გააგზავნა: „დაკიდე ყურმილი. უნდა გელაპარაკო. ჟანი“.

* * *

მატარებელში ერთი მგზავრი ეკითხება მეორეს,

— ბოდიში, მუსიე, გაზეთს, რომელზედაც თქვენ ზიხართ, ხომ არ კითხულობთ? დამითმეთ თუ შეიძლება!

თარგმნა გ. ლოლაძემ.

# გვირაბი სუეცის არხის ქვეშ

მსოფლიოში უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში რამდენიმე წყალქვეშა გვირაბი აშენდა. ამ მხრივ თავისებური რეკორდსმენია იაპონია, სადაც 700 კმ სიგრძის 2600 წყალქვეშა გვირაბია, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ კუნძულებს. მათ შორის ყველაზე დიდია გვირაბი ტანა, იგი ორ დიდ კუნძულს — ჰონსიუსა და ჰოკაიდოს აკავშირებს; მისი სიგრძე 54 კილომეტრია.

არსებობს პროექტი 56 კილომეტრი სიგრძის წყალქვეშა გვირაბის გაყვანისა პა-დე-კალეს სრუტეში.

სუეცის არხის ქვეშ წყალქვეშა გვირაბის გაყვანისათვის უკვე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები. უძველესი რაიონის — ამერის მიდამოებში სათავეს აიღებს ხუთიდან ერთ-ერთი სატრანსპორტო კვანძი, რომელიც სუეცის არხის ქვეშ გაივლის.

სუეცის არხის ქვეშ მშენებარე წყალქვეშა გვირაბს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისათვის, იგი ეგვიპტეს სინას ნახევარკუნძულთან დააკავშირებს.

მიმდინარე წლის 5 ივნისს სუეცის არხის გახსნის დღეს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა პირველი ქვა ჩადო გვირაბის მშენებლობაში და გვირაბს აშ-შატი უწოდა; გვირაბის სიგრძე 2725 მ იქნება. გვირაბი არხის ქვეშ 35 მეტრ სიღრმეზე გაივლის. არხში გათვალისწინებულია ტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობა. გარდა ამისა, ამავე გვირაბით გაყვანილი იქნება ორი წყალსადენი, რომელიც სინას ნახევარკუნძულზე 100 ათას ჰა მიწას მორწყავს; იგი უზრუნველყოფს სამეურნეო და ტექნიკური წყლით ცხვილ ქალაქებს.

არხის მშენებლობა 1978 წლისათვის უნდა დამთავრდეს. მშენებლობა 30 მილიონი ეგვიპტის გირვანქა დაჯდება.

სუეცის არხის ქვეშ გვირაბის გაყვანას აღშფოთებით შეხვდნენ ისრაელში. საქმე ისაა, რომ ისრაელის მიერ დღემდე ოკუპირებულია სინას მთელი ნახევარკუნძული, იგი ექსპლოატაციას უწევს მის ბუნებრივ სიმდიდრეს.

ისრაელის პროპაგანდა სუეცის არხის ქვეშ წყალქვეშა გვირაბის გაყვანას ისე ხატავს, თითქოს მას ეგვიპტისათვის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და მიმართულია ისრაელის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ სინას ნახევარკუნძული კვლავ ისრაელის მხედრიონის ხელშია, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა სრული ტემპით განაგრძობს მზადებას წყალქვეშა არხის გასაყვანად, რომელსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.





# ფერი და შენობა

მსოფლიოს მრავალ ქალაქში არსებობს ფერთა ცენტრები, ფერთა ინსტიტუტები, რომლებიც მეცნიერულ საფუძვლებზე განსაზღვრავენ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების შეღებვის, ფერთა ჰარმონიის საკითხებს.

ასეთი დაწესებულებები ჩვენს ქალაქში არ არსებობს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მომხიბლავი, მიმზიდველი და ლამაზი იქნებოდა პროსპექტები და მოედნები (განსაკუთრებით ახლად განაშენიანებულ რაიონებში) შენობები შეღებილი რომ იყოს ცისარტყელას თანმიმდევრობითი ფერებით, ე. ი. მუსიკალურ-ჰარმონიულ ფერთა სისტემის საფუძველზე.

თბილისის ძველი შენობები შეუღებავია, ანდა თუ შეღებილია უხარისხო საღებავით, რომელიც მნახველს არავითარ ესთეტიკურ სიამოვნებას არ ანიჭებს. არადა, ადამიანის თვალს სჭირდება დატკბეს ფერთა ჰარმონიით. აუცილებლად ყურადღების ღირსია ფერის პრობლემა არქიტექტურაში. ფერის პრობლემაზე არქიტექტურაში ბევრ მკვლევარს უმუშავია და არსებობს გარკვეული თეორიებიც.

1974 წლის 20 ივლისის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში" საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ელენე ახვლედიანი ხაზს უსვამდა ბერლინის შემდეგ პატარა ქალაქების: ცვიკაუს, ვაიმარის, იენის კარგი, სასიამოვნო შეღებვის მაგალითებს.

ფერთა განსაზღვრა-დადგენა თბილისის შენობებისა და კვარტალებისთვის მეცნიერულ საფუძველზე არ ხდება, შენობათა შეღებვა უმეტესად სუბიექტურად წყდება.

ცნობილია, რომ ადამიანს პირობების, მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით ეცვლება ფერთა აღქმა-შეფასების და მათდამი მიდრეკილების უნარი. რაც შეეხება ფერთა ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეს საკითხი კარგად არის ცნობილი ფიზიოლოგიაში. ამიტომ ყველაფერი ის, რასაც ადამიანი ხვდება, უნდა იყოს სასიამოვნო სანახავი.

აქვე მოგვყავს ერთი ვარიანტი გლდანის დასახლების III და IV მიკრორაიონების შეღებვისა, სადაც ფერთა თანმიმდევრობა ცენტრიდან რადიალურად 7 ძირითადი გამისათვის არის განსაზღვრული. მუსიკალურ-ჰარმონიულ ფერთა სისტემის შესაბამისად. (იხ. გარეკანის მეოთხე გვერდი).

მოცემულ სქემაზე ზოგიერთი შენობა შეუღებავია, რომ არ გვქონდეს ფერთა სიჭარბე, ზოგან ფერი ნაკლებად არის გამოყენებული, ამით ვცდილობთ არ დავარღვიოთ კონსტრუქციული პროპორცია.

საერთოდ, ქალაქის რაიონის განაშენიანებაში ფერების განაწილება უნდა ხდებოდეს ფერთა სისტემის საფუძველზე. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პროსპექტების, კვარტალების, საზოგადოებრივი შენობების გარეგნულ იერს ჩვენს ხუროთმოძღვრებს, მშენებლებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ განაშენიანების ერთფეროვნება.

იმედია, ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაეთმობა და არა მარტო საქართველოს დედაქალაქში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში მიექცევა ყურადღება ადამიანისთვის ამ მეტად საჭირო საქმეს.

ჩვენ გვინდა ჩვენი სახლ-კარი ლამაზი და მიმზიდველი იყოს.

მიხეილ ხოჯაევი

გარეკანის პირველ გვერდზე: მოწინავე მეცხოველეები — მარცხნივ ნანა არაბული, მარჯვნივ ზაირა ალხანიშვილი.

თარხან არჩვაძის ფოტო

# კროსვორდი



ვერტიკალურად: 1. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟის, ტარიელის, მამის სახელი. 2. თევზის სახეობა. 3. დიდი სამხედრო შენაერთი. 4. ქალაქი ირანში. 7. სითხის (მაგ. ღვინის) საწყაო. 11. გერმანული ფაშიზმი. 12. სახელმწიფო აფრიკაში. 13. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ტემპი. 15. თევზის სახეობა. 19. ქართველი პოეტი. 20. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული. 21. ქალაქი ალტაის მხარეში. 25. ფრანგი კომპოზიტორი, ცნობილი ბალეტის ავტორი. 26. ინგლისელი დრამატურგი, შექსპირის წინამორბედი.

ჰორიზონტალურად: 5. ტბა უნგრეთში. 6. დიდი სპარსი პოეტი. 8. ქალაქი თურქეთში. 9. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი. 10. ბიბლიური პერსონაჟი. 14. უნგრელი კომპოზიტორი და მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარი 16. ინგლისელი ფიზიკოსი. 17. ამერიკელი კინორეჟისორი. 18. გადადუღებული ყურძნის წვენი. 22. ქიმიური ელემენტი. 23. სიმინდის შესანახი ნაგებობა იმერეთსა და გურიაში. 24. ხილის ფალკოჰოლო სასმელის სახეობა. 27. ცხენოსნობაში შეჯიბრების ერთ-ერთი ქართული სახე. 28. დრამატულ-ლირიკული შინაარსის ლექსი. 29. რომის პაპი, ტევტონთა ორდენის აქტიური მომხრე. 30. ფინური ხალხური ეპოსი.

ჟურნალ „დროშის" № 9-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 4. ტოტლებენი. 7. ემულსია. 8. ალაზანი. 9. ჰიპოტონია. 12. მალიორკა. 14. იმიტაცია. 16. „ტვიში". 18. ვატი. 19. არზა. 20. კრახი. 21. თერძი. 22. ტარო. 24. ვერე. 25. აზოტი. 27. ტრილოგია. 29. ფიქსაცია. 30. პასტორალი. 31. სპარტა. 32. სტერნი. 33 პროპილენი.

ვერტიკალურად: 1. პოლიტიკა. 2. დეტექტივი. 3. ანალგინი. 5. კუპიდონი. 6. კანისტრა. 10. ფარვატერი. 11. ფილატელია. 13. კადრილი. 15. მანძილი. 16. ტახტა. 17. იმედი. 23. ოვოსკოპი. 24. ვესტერნი. 26. ორთოპედია. 28. ადაპტერი. 29. ფელეტონი.

გადაეცა ასაწყობად 9/IX-75წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/X-75 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52 100 შეკვ. № 3392. უე 06505 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



სტუდენტი გოგონა.



პირველი გაკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მალხაზ დათიკაშვილის

## ფოტოეტიუდები

ზარის დარეკვამდე



მომავლის ოსტატი





თბილისის მიკრო-რაიონის შელებვის ვარიანტი (წერილი იხილეთ მე 20 გვ.)

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა